პოტენციურ მეწარმეთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ბათუმის მერია ითანამშრომლებს შესაბამის პროფესიულ ასოციაციებთან (სავაჭრო პალატა, სამრეწველო პალატა). აღნიშნული თანამშრომლობა მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი მეწარმე სუბიექტების საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის, ადგილობრივი საქონლის ექსპორტის ხელშეწყობისა და საინვესტიციო საქმიანობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებისათვის. გარდა ამისა თანამშრომლობა ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების დაბანდებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე მოქმედ საწარმოებსა და ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების საწარმოებს შორის სავაჭრო-სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირების დამყარებას. ქ. ბათუმის მერია ასევე ორგანიზებას გაუწევს შეხვედრებს, სადაც პოტენციურ მეწარმეებს გააცნობს მეწარმეთა წარმატებულ გამოცდილებას (მაგ: აუხსნის რა ფინანსური რესურსებია საჭირო სხვადასხვა პროფილის საწარმოების შესაქმნელად, როგორ და სად მოიპოვონ ფინანსები და ა.შ)

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ თანამშრომლობის ინიცირება შესაბამის პროფესიულ ასოციაციებთან;
- ✓ კონტაქტების დამყარება მეწარმეებთან და მეწარმეობით დაინტერესებულ პირებთან;
- ✓ თანამშრომლობა ცენტრალურ და რეგიონულ ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან მეწარმეობისა და სტარტაპ ბიზნესის განვითრების მიმართულებით პროგრამების განხორციელების მხარდაჭერისათვის;
- ✓ საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება მეწარმეებსა და მეწარმეობით დაინტერესებულ პირებთან.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1	თანამშრომლობის ინიცირება შესაბამის	დაინტერესებული მხარეების	3	3	9	საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება და	2	3	6

	პროფესიულ ასოციაციებთან	ნაკლები ინტერესი				ინფორმირებულობის ამაღლება			
2	კონტაქტების დამყარება მეწარმეებთან და მეწარმეობით დაინტერესებულ პირებთან;	დაინტერესებული მხარეების ნაკლები ინტერესი	3	5	15	საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება და ინფორმირებულობის ამაღლება	2	3	6
3	საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება მეწარმეებსა და მეწარმეობით დაინტერესებულ პირებთან.	დაინტერესებული მხარეების ნაკლები ინტერესი	3	5	15	დაინერესებული მხარეების ინფორმირებულობის ამაღლება	2	5	10
4	თანამშრომლობა ცენტრალურ და რეგიონულ ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან მეწარმეობისა და სტარტაპ ბიზნესის განვითრების მიმართულებით პროგრამების განხორციელების მხარდაჭერისათვის	დაბალი ჩართულობა	3	5	15	კომუნიკაციის უზრუნველყოფა ცენტრალური და რეგიონის მთავრობის შესაბამის უწყებებთან	2	5	10

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ მეწარმეები და მეწარმეობით დაინტერესებული პირები;
- ❖ სავაჭრო-სამრეწველო პალატა;
- ❖ პროფესიული ასოციაციები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ საერთაშორისო ინსტიტუტები;
- ❖ დონორი ორგანიზაციები;
- ❖ პროფესიული ასოციაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

- ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური, (საინვესტიციო და საგრანტო განყოფილება)
- პროფესიული ასოციაციები.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2019	თანამშრომლობის ინიცირება შესაბამის პროფესიულ ასოციაციებთან	x	x	x	x	x	x						
2019-2021	კონტაქტების დამყარება მეწარმეებთან და მეწარმეობით დაინტერესებულ პირებთან	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2021	თანამშრომლობა ცენტრალურ და რეგიონულ ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან მეწარმეობისა და სტარტაპ ბიზნესის განვითრების მიმართულებით პროგრამების განხორციელების მხარდაჭერისათვის	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2021	საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება მეწარმეებსა და მეწარმეობით დაინტერესებულ პირებთან.	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მეწარმეობის ხელშეწყობი სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების რაოდენობა;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის პარტნიორი ორგანიზაციების რაოდენობა მეწარმეობის განვითარების მიმართულებით;
- მეწარმეობის ხელშეწყობის სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა;
- მეწარმეობის მიმართულებით მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა.

2.2 ბათუმის ქალაქმომსახურების ფუნქციების ანალიზი და ამ ფუნქციების განვითარების პერსპექტივის შესწავლა. ბათუმის ქალაქმომსახურების ორგანიზაციების გაძლიერება, დივერსიფიკაცია და რაოდენობის ზრდა.

2.2.1 ქალაქმომსახურების ფუნქციების, დარგებისა და ორგანიზაციების კვლევა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ქალაქის მომსახურების სფეროს წამყვანი დარგებისა და ორგანიზაციების შესწავლის საფუძველზე გამოვლენა, მათი არსებული მდგომარეობისა და განვითარების ტენდენციების დადგენა. მათი როლის განსაზღვრა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში. კვლევის საფუძველზე აღინშნული დარგებისა და ორგანიზაციების გაძლიერების მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.

პროგრამის აღწერა

ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, საცალო ვაჭრობა, განათლება, კულტურა, სპორტი, და სხვა ქალაქმომსახურე დარგებში მოქმედი ორგანიზაციები ემსახურებიან როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე ვიზიტორებს. ქალაქმომსახურების ფუნქციები და მათი განვითარების დონე პირდაპირ აისახება მოსახლეობის არსებული საჭიროებების დაკმაყოფილების ხარისხზე, ასევე ქალაქის ისეთი მნიშვნელოვანი დარგის განვითარებაზე როგორიცაა ტურიზმი. ქალაქმომსახურების დარგების გამართული მუშაობა უზრუნველყოფს ქალაქის მდგრადობას და მის, როგორც საცხოვრებლად და სამუშაოდ სასურველი ადგილის განვითარებას. ბათუმის მერია შეისწავლის ქალქმომსახურების არსებულ პროფილს. შეისწავლის ამ დარგის ორგანიზაციების სხვადასხვა გამოწვევებს და დასახავს მათი მოგვარების გზებს. ბათუმის მერია ასევე შეისწავლის ქალაქმომსახურების როგორც არსებული, ისე ახალი სექტორების განვითარების შესაძლებლობებს და ამასთან დაკავშირებული საჭირო რესურსების არსებობას.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ქალაქმოსახურების ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის ტექნიკური დავალების შემუშავება;
- ✓ ქალაქმოსახურების ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის მომსახურების შესყიდვა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდების ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდების ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა

1	ü ქალაქმოსახურების ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის ტექნიკური დავალების შემუშავება	ნაკლები გამოცდილება მსგავსი დოკუმენტის ტექნიკური დავალების მომზადების მიმართულებით	3	5	15	ტექნიკური დავალების პროექტის განხილვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების და უწყებების მონაწილეობით და რეკომენდაციების გათვალისწინება	2	5	10
2	ü ქალაქმოსახურების ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის მომსახურების შესყიდვა.	დაბალი ხარისხის დოკუმენტის მომზადება მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ	4	5	20	შუალედური მონიტორინგების განხორციელება დამკვეთის მიერ და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტის პროექტის განხილვა შესაბამისი შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით	2	5	10

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ორგანიზაციები და დაწესებულებები მომსახურების სფეროში;
- ტურისტები;
- ვიზიტორები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ცენტრალური ხელისუფლება;
- რეგიონული ხელისუფლება;
- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ორგანიზაციები და დაწესებულებები მომსახურების სფეროში.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;
საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური. პროგრამა განხორციელდება ტენდერის საფუძველზე გეგმის მომზადების მომსახურების შესყიდვის გზით.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2018	ქალაქმოსახურების ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის ტექნიკური დავალების შემუშავება;						x	x					
2018-2019	ქალაქმოსახურების ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის მომსახურების შესყიდვა.							x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- შემუშავებულია ქალაქ ბათუმის ქალაქმომსახურე დარგების და ორგანიზაციების კვლევის დოკუმენტი.

2.2.2 ბათუმის ქალაქმომსახურეობის სფეროში ახალი ორგანიზაციების შექმნისა და არსებული ორგანიზაციების გაძლიერების ღონისძიებების განხორციელება

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია შესწავლის საფუძველზე უზრუნველყოს ქალაქის მომსახურების სფეროს წამყვანი მიმართულებებისა და ორგანიზაციების გამოვლენა. ასევე ამ ორგანიზაციებისა და მიმართულებების განვითარების ბარიერების იდენტიფიცირება და მათი დაძლევის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორორციელება. რაც შედეგად უზრუნველყოფს ქალაქმომსახურების ორგანიზაციების გაძლიერებასა და მათი რაოდენობის ზრდას.

პროგრამის აღწერა

ქალაქ ბათუმის მერია ქალაქმომსახურების ფუნქციების, დარგებისა და ორგანიზაციების კვლევის საფუძველზე განსაზღვრავს არსებული ორგანიზაციების გაძლიერებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ასევე გაითვალისწინებს კვლევის დოკუმენტში მითითებულ რეკომენდაციებს ამ ორგანიზაციების გაძლიერების მიმართულებით. ამასთანავე, ქალაქ ბათუმის მერია შეიმუშავებს ქალაქმომსახურების სხვადასხვა სფეროში ახალი ორგანიზაციების შექმნის შესაძლებლობებს, მოთხოვნებს და წარუდგენს მას კერძო სექტორს. ამ მხვრივ, ყურადღება მიექცევა როგორც ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურობას ბიზნესის განხორციელების თვალსაზრისით, ისე უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქალაქმომსახურების სფეროებში უმოქმედო და არამდგრადი საწარმოებისათვის მეორე სიცოცხლის მიცემის პროექტს. გამოცდილების არ ქონის, რესურსების ნაკლებობის, ადმინისტრაციული ბარიერების და სხვა გამოწვევების გამო უმოქმედო თუ არამდგრადი საწარმოებისათვის ბათუმის მერია განახორციელებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს მიმართულს მათი ამოქმედებისაკენ.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ქალაქ ბათუმის ქალაქმომსახურების ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის საფუძველზე ქალაქმომსახურე ორგანიზაციების არსებული მდგომარეობის, განვითარების ბარიერებისა და პერსპექტივების დადგენა;
- ✓ არსებული ქალაქმომსახურე ორგანიზაციების გაძლიერებისა და ფუნქციონირების ხელშემწყობი ღონისძიებები დაგეგმვა და განხორციელება;
- ✓ ცენტრალურ და რეგიონულ ხელისულფებასთან თანამშრომლობით, ახალი ქალაქმომსახურე ორგანიზაციების შექმნისა და ამოქმედების ხელშეწყობა, სახელმწიფო და რეგიონულ პროგრამებში მათი მონაწილეობის მხარდაჭერა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდების ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდების ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა

1	ქალაქ ბათუმის ქალაქმომსახურების ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის საფუძველზე ქალაქმომსახურე ორგანიზაციების არსებული მდგომარეობის, განვითარების ბარიერებისა და პერსპექტივების დადგენა	გამოცდილების ნაკლებობა მსგავსი ღონისძიებების განხორციელების მიმართულებით	3	5	15	ქალაქმომსახურე ორგანიზაციების კვლევის ტექნიკურ დავალებაში მომწოდებლისათვის ძირითადი რეკომენდაციებისა და მიგნებების შემუშავების ვალდებულების გათვალისწინება	2	5	10
2	არსებული ქალაქმომსახურე ორგანიზაციების გაძლიერებისა და ფუნქციონირების ხელშემწყობი ღონისძიებები დაგეგმვა და განხორციელება	გამოცდილების ნაკლებობა მსგავსი ღონისძიებების განხორციელების მიმართულებით, მუნიციპალიტეტის კანონით განსაზღვრული კომპეტენციის საზღვრები.	4	5	20	თანამშრომლობა და საკითხის ინიცირება დაინტერესებულ მხარებთან ცენტრალური და რეგიონის მთავრობის დონეზე	2	5	10
3	ცენტრალურ და რეგიონულ ხელისულფებასთან თანამშრომლობით, ახალი ქალაქმომსახურე ორგანიზაციების შექმნისა და ამოქმედების ხელშეწყობა, სახელმწიფო და რეგიონულ პროგრამებში მათი მონაწილეობის მხარდაჭერა.	ნაკლები ინტერესი კერძო სექტორის მხრიდან სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობასთან დაკავშირებით	3	3	9	საინფორმაციო კამპანიების წარმოება და პოტენციური ბენეფიციარების ინფორმირების ამაღლება	2	5	10

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ორგანიზაციები და დაწესებულებები მომსახურების სფეროში;
- ❖ ინვესტორები;

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;

- ❖ ტურისტები;
- ❖ ვიზიტორები.
- ❖ ორგანიზაციები და დაწესებულებები მომსახურების სფეროში.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;
საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქალაქ ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური.
პროგრამა განხორციელდება აღნიშნული სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2019	ქალაქ ბათუმის ქალაქმომსახურების ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის საფუძველზე ქალაქმომსახურე ორგანიზაციების არსებული მდგომარეობის, განვითარების ბარიერებისა და პერსპექტივების დადგენა							x	x	x	x	x	x
2019-2021	არსებული ქალაქმომსახურე ორგანიზაციების გაძლიერებისა და ფუნქციონირების ხელშემწყობი ღონისძიებები დაგეგმვა და განხორციელება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2021	ცენტრალურ და რეგიონულ ხელისულფებასთან თანამშრომლობით, ახალი ქალაქმომსახურე ორგანიზაციების შექმნისა და ამოქმედების ხელშეწყობა, სახელმწიფო და რეგიონულ პროგრამებში მათი მონაწილეობის მხარდაჭერა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ქალაქმომსახურე ორგანიზაციების ფუნქციონირებისა და განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების რაოდენობა;
- ❖ სახელმწიფო და რეგიონულ პროგამების ბენეფიციარი ორგანიზაციების რაოდენობა მომსახურების სფეროში;
- ❖ მომსახურების სფეროს მოქმედი ორგანიზაციების რაოდენობა.

სტრატეგიული მიმართულება 3

ქ. ბათუმის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია

3.1 ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა

3.1.1 ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნა
3.1.2 მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების სტიმულირება
3.1.3 საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის შექმნის ხელშეწყობა
3.1.4 ადგილობრივი განვითარების ფორუმების ორგანიზება

3.2 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

3.2.1 ტურისტული პოტენციალის კვლევა
3.2.2 საზღვაო და საჰაერო კავშირების დივერსიფიცირება
3.2.3 საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა
3.2.4 სპორტული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა
3.2.5 სამედიცინო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

3.3 საერთაშორისო თანამშრომლობა და ქსელური კავშირები

3.3.1 თანამშრომლობა საერთაშორისო დონორ და საფინანსო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან. ერთობლივი პროექტების ინიცირება და განხორციელება
3.3.2 დამეგობრებულ ქალაქებთან პარტნიორული ურთიერთობების განვითარება

3.4 ბათუმში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების განვითარება

3.4.1 ქ. ბათუმში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების განვითარების შესაძლებლობების კვლევა

3.5 ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების განვითარების ხელშეწყობა

3.5.1. ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების ეკონომიკური განვითარების სტიმულირება
3.5.2 გადამამუშავებელ საწარმოების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა

3. ქ. ბათუმის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია

3.1 ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა

3.1.1 ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ბიზნესის განვითარების სტიმულირება და დასაქმების ხელშეწყობა ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნისა და ამოქმედების გზით. აღნიშნული ცენტრი უზრუნველყოფს საწარმოო სივრცეების შეღავათიანი პირობებით სარგებლობის შესაძლებლობებს არსებული და დამწყები მცირე და საშუალო მეწარმეობისათვის.

პროგრამის აღწერა

ინდუსტრიული/ საწარმოო ბიზნეს ცენტრი არის მიზანმიმართული პოლიტიკა ქალაქწარმომქმნელი ახალი დარგების (კერძოდ მსუბუქი მრეწველობა) სტიმულირების თვალსაზრისით; ახალი სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით; ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით; ბათუმის შემოერთებული ტერიტორიების ურბანიზაციის თვალსაზრისით. ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრი იქნება კომუნიკაციებით (გზა, წყალი, კანალიზაცია, ელექტროენერგია, გაზი...) უზრუნველყოფილი საწარმოო სივრცეების (ე.წ. საწარმოო შენობების - „ბოქსების“) ერთობლიობა, სადაც დამწყებ ან მოქმედ მცირე მეწარმეს შესაძლებლობა ექნება განათავსოს წარმოების ხაზი და შეუდგეს მის ოპერირებას სპეციალური შეღავათიანი იჯარის პირობებში. ასეთი ტიპის სივრცე სასურველი ადგილი გახდება არა მარტო ახალი საწარმოებისთვის, არამედ არსებული საწარმოებისათვისაც ვინაიდან ბიზნესი კარგად გრძნობს სინერგიის ეფექტს ერთ საწარმოო სივრცეში ოპერირების თვალსაზრისით. ამავე დროს ასეთი ტიპის სივრცეზე ხელმისაწვდომობა გაცილებით შეუწყობს ხელს ადგილობრივ მეწარმეებს სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო ხელშემწყობი პროგრამების ათვისებაში.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრისათვის ქალაქის ფარგლებში შესაბამისი ტერიტორიის შერჩევა და დაპროექტება;
- ✓ ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის უზრუნველყოფა აუცილებელი კომუნიკაციებით (გზის მიყვანა, ელექტრენერგიით, ბუნებრივი აირის სისტემით, წყლისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა);
- ✓ საწარმოო სივრცეების მშენებლობა;
- ✓ პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის დაინტერესებული სუბიექტების განაცხადების ფორმების, დოკუმენტაციისა და შერჩევის კრიტერიუმების მომზადება;
- ✓ შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად, დაინტერესებული სუბიექტების განაცხადების მიღება, განხილვა და შერჩევა საკოორდინაციო ჯგუფის მიერ;
- ✓ შერჩეული ბიზნეს სუბიექტებისათვის გამოყოფილი ტერიტორიისა და შენობის შეღავათიანი იჯარით გადაცემა;

- ✓ შერჩეული ბიზნეს სუბიექტებისათვის შესაძლებლობების გაძლიერების, საკონსულტაციო ღონისძიებების განხორციელება;
- ✓ შერჩეული ბიზნეს სუბიექტების მუდმივი მონიტორინგი და განვითარების ანგარიშების მომზადება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდების ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდების ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1	ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრისათვის ქალაქის ფარგლებში შესაბამისი ტერიტორიის შერჩევა და დაპროექტება	საწარმოო ბიზნეს ცენტრის მოწყობისათვის შესაბამისი ტერიტორიის არარსებობა	4	5	20	თანამშრომლობა ცენტრალური და რეგიონულ ხელისუფლებასთან მიწის ნაკვეთის გადმოცემის საკითხთან დაკავშირებით	3	5	15
2	ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის უზრუნველყოფა აუცილებელი კომუნიკაციებით (გზის მიყვანა, ელექტრენერგიით, ბუნებრივი აირის სისტემით, წყლისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა);	მიმდინარე წლის მუნიციპალურ ბიუჯეტში კონკრეტულ ტერიტორიის კომუნიკაციებით უზრუნველყოფის პროგრამების არ არსებობა.	3	5	15		2	5	10
3	საწარმოო სივრცეების მშენებლობა;	გამოცდილების არარსებობა საწარმოო სივრცეების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ტექნიკური დავალების და სხვ. მომზადების მხრივ შეფერხებები სახელმწიფო შესყიდვების კანონით	4	4	16	კონსულტაციები საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან, ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიებთან; შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე საერთაშორისო თანამშრომლობის, ადგილობრივი პროფესიონალი კადრების ჩართულობა	2	3	6

		განსაზღვრულ სატენდერო პროცედურებში							
4	პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის დაინტერესებული სუბიექტების განაცხადების ფორმების, დოკუმენტაციისა და შერჩევის კრიტერიუმების მომზადება;	გამოცდილების ნაკლებობა მსგავსი ტიპის დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებით	3	4	12	დოკუმენტაციის მომზადების პროცესში საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფა	2	3	6
5	შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად, დაინტერესებული სუბიექტების განაცხადების მიღება, განხილვა და შერჩევა საკოორდინაციო ჯგუფის მიერ;	დაინტერესებული პოტენციური ბენეფიციარების ნაკლებობა.	2	5	10	საინფორმაციო კამპანიების უზრუნველყოფა და პოტენციური ბენეფიციარების ინფორმირებულობის ამაღლება	1	5	5
6	შერჩეული ბიზნეს სუბიექტებისათვის გამოყოფილი ტერიტორიისა და შენობის შეღავათიანი იჯარით გადაცემა;	ბიზნეს სუბიექტის მხრიდან საწარმოო სივრცეების დაზიანება და	2	3	6	ბიზნეს სუბიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად შენობის იერსახის მონიტორინგი და დარღვევების	1	2	2

		გულგრილად მოპყრობა; ბიზნეს სუბიექტის მხრიდან გულგრილი დამოკიდებულება და საიჯარო თანხის გადაუხდელობა				შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებების გატარება;ხელშეკრულებაში შესაბამისი პირობების გათვალისწინება იჯარის გადასახადთან დაკავშირებით.			
7	შერჩეული ბიზნეს სუბიექტებისათვის შესაძლებლობების გაძლიერების, საკონსულტაციო ღონისძიებების განხორციელება;	გამოცდილების ნაკლებობა აღნიშნული საქმიანობის მხრივ	2	4	8	განმახორციელებელი სუბიექტის შესაძებლობების გაძიერება გადამზადების პროგრამების განხორციელებით	1	3	3
8	შერჩეული ბიზნეს სუბიექტების მუდმივი მონიტორინგი და განვითარების ანგარიშების მომზადება.	ანგარიშის მომზადების თემატიკაში გამოუცდელობა	3	4	12	ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობების გაძიერება/გადამზადება	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები;
- ახალი ბიზნესის დაწყებით დაინტერესებული პირები;

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ცენტრალური ხელისუფლება;
- რეგიონული ხელისუფლება;
- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები;
- საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიები;
- საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური (საინვესტიციო და საგრანტო პროექტების მართვის განყოფილება)
ა(ა)იპი საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო;
მუნიციპალური ქონების და სერვისემის მართვის სამსახური

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2018	ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრისათვის ქალაქის ფარგლებში შესაბამისი ტერიტორიის შერჩევა და დაპროექტება			x	x	x	x	x					
2018-2019	ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის უზრუნველყოფა აუცილებელი კომუნიკაციებით (გზის მიყვანა, ელექტრენერგიით, ბუნებრივი აირის სისტემით, წყლისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა)								x	x	x	x	x
2019	საწარმოო სივრცეების მშენებლობა				x	x	x	x	x	x			
2018	პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის დაინტერესებული სუბიექტების განაცხადების ფორმების, დოკუმენტაციისა და შერჩევის კრიტერიუმების მომზადება						x	x					
2019-2020	შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად, დაინტერესებული სუბიექტების განაცხადების მიღება, განხილვა და შერჩევა საკოორდინაციო ჯგუფის მიერ									x	x	x	x
2019-2020	შერჩეული ბიზნეს სუბიექტებისათვის გამოყოფილი ტერიტორიისა და შენობის შეღავათიანი იჯარით გადაცემა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2020	შერჩეული ბიზნეს სუბიექტებისათვის შესაძლებლობიების გაძლიერების, საკონსულტაციო ღონისძიებების განხორციელება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2020	შერჩეული ბიზნეს სუბიექტების მუდმივი მონიტორინგი და	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

	განვითარების ანგარიშების მომზადება.												

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრში განთავსებული ბიზნეს სუბიექტების (მათ შორის სტარტაპების) რაოდენობა;
- ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრში განთავსებული საწარმოების განვითარების ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლები;
- ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრიდან გასული, დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა;
- ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის მიმართ გაზრდილი ინტერესი (გაიზომება მომართვიანობის საფუძველზე);
- ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის ახალი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა.

3.1.2 მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების სტიმულირება

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ასევე მიმზიდველი გარემოს შექმნას ახალი ბიზნესის დაწყების მსურველთათვის. პროექტი შექმნის მრავალფუნქციური ბიზნეს სივრცეს, რომელიც შესთავაზებს არამხოლოდ შეღავათიან საოფისე პირობებს, არამედ კვალიფიციურ დახმარებას ბიზნესის დაწყებისა და განვითარების მიმართულებით, რაც შედეგად დაეხმარება არსებულ მცირე და საშუალო ბიზნესს განვითარებაში და სტიმულს მისცემს ბიზნესის დაწყების მსურველებს, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში კი ხელს შეუწყობს დასაქმებას.

პროგრამის აღწერა

სახელმწიფო და რეგიონულ სტრუქტურებთან მჭიდრო კოორდინაციით, ასევე სამეწარმეო სექტორით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორობით, ქალაქ ბათუმის მერია შექმნის პირობებს მეწარმეების მომსახურების სფეროსა და ინოვაციურ დარგებში მოსაზიდად. ქალაქ ბათუმის მერია უზრუნველყოფს შესაბამისი სივრცის გამოყოფას ქალაქის ტერიტორიაზე, სადაც ხელმისაწვდომი იქნება ინტერნეტი და ბიზნესის წარმოებისათვის საჭირო სხვა სერვისები. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ცენტრი იქნება მრავალფუქნციური ბიზნეს სივრცე, სადაც ახალდამწყებ და განვითარებად ბიზნესს შეეძლება ისარგებლოს კომუნიკაციის საშუალებებით, საოფისე ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი საოფისე ფართით. ისარგებლოს საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურებით ბიზნესის წარმოებასა და განვითარებასთან დაკავშირებული დარგების მიმართულებით, როგორიცაა ბიზნეს გეგმების მომზადება, ბუღალტერია, მარკეტინგული გეგმების მომზადება და გაუმჯობესება.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ბიზნეს ცენტრის განთავსებისათვის საჭირო ტერიტორიისა და შენობის შერჩევა;
- ✓ შერჩეული შენობის უზრუნველყოფა კომუნიკაციებით (ელექტროენერგია, წყალი, ბუნებრივი აირი, ინტერნეტი);
- ✓ ბიზნეს ცენტრის შენობის აღჭურვა საოფისე ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით;
- ✓ ბიზნეს ცენტრის პერსონალის შერჩევა და ამოქმედება;
- ✓ პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და მისი პრომოუშენი სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნეს შეხვედრებსა და ფორუმებზე.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1	ბიზნეს ცენტრის განთავსებისათვის	მოწყობისათვის შესაბამისი	4	5	20	თანამშრომლობა ცენტრალური და	3	5	15

	საჭირო ტერიტორიისა და შენობის შერჩევა;	ტერიტორიის არარსებობა				რეგიონულ ხელისუფლებასთან მიწის ნაკვეთის გადმოცემის საკითხთან დაკავშირებით			
2	შერჩეული შენობის უზრუნველყოფა კომუნიკაციებით (ელექტროენერგია, წყალი, ბუნებრივი აირი, ინტერნეტი);	კომუნიკაციების მიყვანის სამუშაოების დროში გაწელილი პროცედურები	3	5	15	სანებართვო პროცედურების დაჩქარება მუნიციპალიტეტის მხრიდან	2	5	10
3	ბიზნეს ცენტრის შენობის აღჭურვა საოფისე ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით	შესყიდვებთან დაკავშირებული ხარვეზები	3	3	9	კოორდინაცია შესყიდვების განყოფილებასთან და ტექნიკური დავალების მაქსიმალურად ზუსტად მომზადება	2	3	6
4	ბიზნეს ცენტრის პერსონალის შერჩევა და ამოქმედება;	კვალიფიციური კადრების ნაკლებობა	3	5	15	კადრების შერჩევა კონკურსის საფუძველზე	2	5	10
5	პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და მისი პრომოუშენი სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნეს შეხვედრებსა და ფორუმებზე.	დაბალი აქტივობა დაინტერესებული მხარეების მხრიდან	3	5	15	ინფორმაციის გავრცელება და ინფორმირებულობის ამაღლება დაინტერესებული მხარეებისათვის	2	5	10

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ბიზნეს სფეროს წარმომადგენლები;
- სამეწარმეო სფეროს წარმომადგენლები;
- პროფესული ასოციაციები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები და ტრენინგ-ცენტრები;
- სამეწარმეო სფეროთი დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ცენტრალური ხელისუფლება;
- რეგიონული ხელისუფლება;
- სამეწარმეო სფეროთი დაინეტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციები;
- სამეწარმეო სფეროს წარმომადგენლები;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- ექსპერტები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;
საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური
ცენტრალური და რეგიონული ხელისუფლება;
საგანმანათლებლო დაწესებულებები და ტრენინგ-ცენტრები;
არასამთავრობო ორგანიზაციები.
პროგრამა განხორციელდება უშუალოდ განმახორციელებელი პარტნიორების მიერ.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2018	ბიზნეს ცენტრის განთავსებისათვის საჭირო ტერიტორიისა და შენობის შერჩევა							x	x	x	x	x	x
2019	შერჩეული შენობის უზრუნველყოფა კომუნიკაციებით (ელექტროენერგია, წყალი, ბუნებრივი აირი, ინტერნეტი)	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020	ბიზნეს ცენტრის შენობის აღჭურვა საოფისე ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით										x	x	x
2020-2021	ბიზნეს ცენტრის პერსონალის შერჩევა და ამოქმედება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2018-2021	პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და მისი პრომოუშენი სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნეს შეხვედრებსა და ფორუმებზე.	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ბიზნეს ცენტრის მონაწილე კომპანიების რაოდენობა;
- ❖ ბიზნეს ცენტრიდან გასული, დამოუკიდებლად მოქმედი კომპანიების რაოდენობა;
- ❖ სახელმწიფო, რეგიონული და მუნიციპალური პროგრამებით დაფინანსებული ბიზნეს და სამეწარმეო პროექტების რაოდენობა;
- ❖ რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდა;
- ❖ აქტიური ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდა;
- ❖ ბიზნეს სექტორის გამოშვების ზრდა;
- ❖ ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა.

3.1.3 საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის შექმნის ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა და დასაქმების ზრდა მსხვილი საერთაშრისო კომპანიების მოზიდვითა და მათი ქ. ბათუმში ოპერირების ხელშეწყობის გზით. რაც შედეგად ერთის მხრივ ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას და განხორციელებას, მეორეს მხრივ შეამცირებს უმუშევრობის და დასაქმების პრობლემას.

პროგრამის აღწერა

უცხოური ბიზნესის და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, ქ. ბათუმის მერია ხელს შეუწყობს ქალაქში საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის შექმნასა და ფუნქციონირებას. პროექტის ფარგლებში ქ. ბათუმის მერიის მხრიდან განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის მშენებლობისა და ოპერირების უზრუნველსაყოფად. საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის ოპერირებისას გათვალისწინებული იქნება ისეთი სავალდებულო საკითხები, როგორიცაა უცხოელი ინვესტორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დაინტერესება და მოზიდვა, ადგილობრივი კადრების დასაქმება. საერთაშორისო ბიზნეს ცენტრით დაინტერესებულ საერთაშორისო კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ შეღავათიანი პირობებით ისარგებლონ კომუნიკაციებით უზრუნველყოფილი საოფისე სივრცით. ქ. ბათუმის მერია თავის მხრივ უზრუნველყოფს ტერიტორიაზე კომუნიკაციების (გზა, ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, წყლისა და კანალიზაციის სისტემის) მოწყობას. გარდა ამისა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ პროექტის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, მუდმივად მოხდება პროექტის პოპულარიზაცია ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნეს და საინვესტიციო ღონისძიებებზე.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის მოდელის შემუშავება;
- ✓ ბიზნეს მოდელის საფუძველზე საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის მოწყობის სამუშაოების განხორციელება (ტერიტორიის შერჩევა, დაპროექტება, კომუნიკაციებით უზრუნველყოფა და მშენებლობა);
- ✓ საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის ამოქმედება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

1	საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის მოდელის შემუშავება;	ნაკლები გამოცდილება მსგავსი ტექნიკური დავალების მომზადების კუთხით	3	5	15	შესაბამისი პროფილის არასამთავრობო, დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა ტექნიკური დავალების მომზადების პროცესში	2	5	10
2	ბიზნეს მოდელის საფუძველზე	კომუნიკაციების მიყვანის	3	5	15	სანებართვო პროცედურების	2	5	10

	საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის მოწყობის სამუშაოების განხორციელება (ტერიტორიის შერჩევა, დაპროექტება, კომუნიკაციებით უზრუნველყოფა და მშენებლობა)	სამუშაოების დროში გაწელილი პროცედურები.				დაჩქარება მუნიციპალიტეტის მხრიდან			
3	საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის ამოქმედება.	საერთაშორისო ორგაინზაციების მხრიდან აღნიშნული პროექტის მიმართ ინტერესის არქონა (კვლევით დადასტურების შემთხვევაში)	4,5	5	23	პროგრამა არ განხორციელდება თუ კვლევის საფუძველზე დადასტურდა მის მიმართ ბაზარზე მოთხოვნის არარსებობა მოცემული დროისათვის.	4,5	5	23

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ინვესტორები;
- მსხვილი კერძო კომპანიები;
- საერთაშორისო ორგანიზაციები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ცენტრალური ხელისუფლება;
- რეგიონული ხელისუფლება;
- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ინვესტორები;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური; ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.	2 კვარტ.	3 კვარტ.	4 კვარტ.

2018	საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის მოდელის ტექნიკური დავალების შემუშავება;										x	x	x
2019	საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის მოდელის შემუშავების მომსახურების შესყიდვა	x	x	x									
2019-2020	ბიზნეს მოდელის საფუძველზე საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის მოწყობის სამუშაოების განხორციელება (ტერიტორიის შერჩევა, დაპროექტება, კომუნიკაციებით უზრუნველყოფა და მშენებლობა)				x	x	x	x	x	x	x	x	x
2020-2021	საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის ამოქმედება.	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის საოფისე ფართის რაოდენობა;
- საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის მონაწილე საერთაშორისო კომპანიების რაოდენობა;
- საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის მონაწილე საერთაშორისო კომპანიებში დასაქმებული ადგილობრივი კადრების რაოდენობა.

3.1.4 ადგილობრივი განვითარების ფორუმების ორგანიზება

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს: ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, ადგილობრივი განვითარების გრძელვადიანი პლატფორმის შექმნა; საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებს შორის ადგილობრივ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა; გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, ექსპერტებსა და აკადემიურ წრეებს შორის უშუალო და ინტერაქტიული კომუნიკაციის დამყარება და ქალაქებს შორის თანამშრომლობის ინიცირება. შედეგად ფორუმის ფარგლებში შეიქმნება: მდგრად ურბანულ განვითარებაზე, ბიზნეს და საინვესტიციო თემატიკაზე მომუშავე ინტერაქტიული პლატფორმა; მდგრადი ურბანული განვითარების, ბიზნესის ხელშეწყობისა და ინვესტიციების განხორციელების მიმართულებით ახალი პროექტები და პარტნიორობები; გაზრდილი იქნება ქალაქის ცნობადობა საერთაშორისო ასპარეზზე.

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში დაარსდება ბათუმის მდგრადი ურბანული განვითარების ფორუმი, როგორც ყოველწლიური ღონისძიება, რომელიც აქცენტს გააკეთებს მდგრადი განვითარების სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებულ საკითხებზე, როგორიცაა სტრატეგიული და ურბანული დაგეგმარება, სატრანსპორტო სისტემების განვითარება, სასმელი წყლისა და ჩამდინარე წყლების მართვა, კატასტროფების რისკების შემცირება, კლიმატის ცვლილების შერბილება და ადაპტაცია, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, განათლება და შესაძლებლობების გაძლიერება. ფორუმი არსებულ გამოწვევებზე, გადაჭრის გზებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე მსჯელობის მიზნით გააერთიანებს ხელისუფლების, კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, პარტნიორ ქალაქებსა და ორგანიზაციებს.

ასევე ქ. ბათუმი ორგანიზებას ან თანაორგანიზებას გაუწევს ბიზნეს და საინვესტიციო ფორუმებს, სადაც ქალაქის ბიზნეს და საინვესტიციო პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით წარმოადგენს ქ. ბათუმის საინვესტიციო გეგმით გათვალისწინებულ კონკრეტულ წინადადებებს.

ბათუმის ადგილობრივი განვითარების ფორუმები იქნება:
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ინიციატივა უზრუნველყოს სივრცე მულტიდისციპლინარული დიალოგისათვის მდგრად ურბანულ განვითარებასთან, ბიზნეს და საინვესტიციო შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
- ინტერაქტიული პლატფორმა, რომელიც თავს მოუყრის შესაბამისი დარგების ექსპერტებსა და სპეციალისტებს საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორიდან. ხელს შეუწყობს სინერგიული კავშირების იდენტიფიცირებასა და თანამშრომლობის ინიცირებას;
- შეხვედრის ადგილი გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებიდან, პარტნიორი ქალაქებისა და საერთაშორისო

ორგანიზაციებიდან გამოცდილების გაზიარების, პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და წარმატებული პრაქტიკის განსაზღვრისათვის განვითარების არსებული გამოწვევების საპასუხოდ.

გარდა ამისა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი განახორციელებს თანადაფინანსებას ბიზნეს და საინვესტიციო ფორუმებისა და კონფერენციების ორგანიზებასთან დაკავშირებული კერძო ინიციატივების დაფინანსებას. პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად შემუშავდება კონკრეტული კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც მოხდება თანადაფინანსების პროექტის შერჩევა.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ქალაქ ბათუმის მდგრადი განვითარების ფორუმის კონცეფციის მომზადება;
- ✓ განმახორციელებელ პარტნიორებთან ერთად ფორუმის პროგრამის მომზადება, მომხსენებლებისა და სტუმრების განსაზღვრა;
- ✓ მდგრადი განვითარების ფორუმის საორგანიზაციო საკითხების დაგეგმვა;
- ✓ მდგრადი განვითარების ფორუმის ჩატარება.
- ✓ ქალაქ ბათუმის საინვესტიციო ფორუმის კონცეფციის მომზადება;
- ✓ განმახორციელებელ პარტნიორებთან ერთად საინვესტიციო ფორუმის პროგრამის მომზადება, მომხსენებლებისა და სტუმრების განსაზღვრა;
- ✓ საინვესტიციო ფორუმის საორგანიზაციო საკითხების დაგეგმვა;
- ✓ საინვესტიციო ფორუმის ჩატარება.
- ✓ მგრადი განვითარების, ბიზნეს და საინვესტიციო ღონისძიებების კერძო ინიციატივების თანადაფინანსებისათვის, განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად პროექტის თანადაფინანსების კრიტერიუმების შემუშავება;
- ✓ თანადაფინანსების მიზნით შემოსული კერძო ინიციატივების შერჩევა;
- ✓ შერჩეული კერძო ინიციატივების თანადაფინანსება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

0	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1	ქალაქ ბათუმის მდგრადი განვითარების ფორუმის კონცეფციის მომზადება	ნაკლებაქტუალური თემები შერჩევა	2	3	6	თემების შერჩევა მუნიციპალიტეტის პოლიტიკის და საერთაშორისო თანამშრომლობის აქტუალური თემების შესაბამისად	1	2	2
2	განმახორციელებელ პარტნიორებთან	განმახორციელებელი პარტნიორების	3	3	9	პარტნიორებთან კომუნიკაცია და	2	3	6

	ერთად ფორუმის პროგრამის მომზადება, მომხსენებლებისა და სტუმრების განსაზღვრა	ნაკლები ჩართულობა				მათი ინფორმირება, ორმხრივი ინტერესის სფეროს მქონე თემების შეთავაზება			
3	მდგრადი განვითარების ფორუმის საორგანიზაციო საკითხების დაგეგმვა	დროში გაწელილი რეაგირება	3	3	9	დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინირებული მუშაობა	2	3	6
4	მდგრადი განვითარების ფორუმის ჩატარება.	დაინტერესებული მხარეების ნაკლები ინტერესი	3	5	15	დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია და მათი ინფორმირება	2	5	10
5	ქალაქ ბათუმის საინვესტიციო ფორუმის კონცეფციის მომზადება;	ნაკლებაქტუალური თემები შერჩევა	2	3	6	თემების შერჩევა მუნიციპალიტეტის პოლიტიკის და საერთაშორისო თანამშრომლობის აქტუალური თემების შესაბამისად	1	2	2
6	განმახორციელებელ პარტნიორებთან ერთად საინვესტიციო ფორუმის პროგრამის მომზადება, მომხსენებლებისა და სტუმრების განსაზღვრა;	განმახორციელებელი პარტნიორების ნაკლები ჩართულობა	3	3	9	პარტნიორებთან კომუნიკაცია და მათი ინფორმირება, ორმხრივი ინტერესის სფეროს მქონე თემების შეთავაზება	2	3	6
7	საინვესტიციო ფორუმის საორგანიზაციო საკითხების დაგეგმვა;	დროში გაწელილი რეაგირება	3	3	9	დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინირებული მუშაობა	2	3	6
8	საინვესტიციო ფორუმის ჩატარება.	დაინტერესებული მხარეების ნაკლები ინტერესი	3	5	15	დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია და მათი ინფორმირება	2	5	10
9	მგრადი განვითარების, ბიზნეს და საინვესტიციო	დაინტერესებული მხარეების ნაკლები ინტერესი	3	3	9	დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია და	2	3	6

	ღონისძიებების კერძო ინიციატივების თანადაფინანსებისათვის, განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად პროექტის თანადაფინანსების კრიტერიუმების შემუშავება;					მათი ინფორმირება აღნიშნულიპროგრამისა და შესაძლებლობების შესახებ			
10	თანადაფინანსების მიზნით შემოსული კერძო ინიციატივების შერჩევა;	დაინტერესებული მხარეების ნაკლები ინტერესი	3	3	9	დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია და მათი ინფორმირება აღნიშნულიპროგრამისა და შესაძლებლობების შესახებ	2	3	6
11	შერჩეული კერძო ინიციატივების თანადაფინანსება.	დაინტერესებული მხარეების ნაკლები ინტერესი	3	5	15	დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია და მათი ინფორმირება აღნიშნულიპროგრამისა და შესაძლებლობების შესახებ	2	5	10

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ადგილობრივი თვითმმართველობები;
- საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- პარტნიორი ქალაქები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები;
- კერძო სექტორი;
- პოტენციური ინვესტორები;
- საგანმანათლებლო ორგანიზაციები;
- სამოქალაქო საზოგადოება

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ადგილობრივი თვითმმართველობები;
- საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- პარტნიორი ქალაქები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები;
- კერძო სექტორი;
- პოტენციური ინვესტორები;
- საგანმანათლებლო ორგანიზაციები;
- სამოქალაქო საზოგადოება;
- დარგის ექსპერტები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;

საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური.
პროგრამა განხორციელდება უშუალოდ პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2018	ქალაქ ბათუმის მდგრადი განვითარების ფორუმის კონცეფციის მომზადება				x								
2018	განმახორციელებელ პარტნიორებთან ერთად ფორუმის პროგრამის მომზადება, მომხსენებლებისა და სტუმრების განსაზღვრა					x	x						
2018	მდგრადი განვითარების ფორუმის საორგანიზაციო საკითხების დაგეგმვა					x	x	x	x				
2018	მდგრადი განვითარების ფორუმის ჩატარება									x			
2018	ქალაქ ბათუმის საინვესტიციო ფორუმის კონცეფციის მომზადება										x	x	x
2019	განმახორციელებელ პარტნიორებთან ერთად საინვესტიციო ფორუმის პროგრამის მომზადება, მომხსენებლებისა და სტუმრების განსაზღვრა	x	x	x									
2019	საინვესტიციო ფორუმის საორგანიზაციო საკითხების დაგეგმვა				x	x	x	x	x	x			
	საინვესტიციო ფორუმის ჩატარება										x		
2018	მგრადი განვითარების, ბიზნეს და საინვესტიციო ღონისძიებების კერძო ინიციატივების თანადაფინანსებისათვის, განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად პროექტის თანადაფინანსების კრიტერიუმების შემუშავება						x	x	x				
2018-2021	თანადაფინანსების მიზნით შემოსული კერძო ინიციატივების შერჩევა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

2019-2021	შერჩეული კერძო ინიციატივების თანადაფინანსება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ფორუმების მონაწილე შესაბამისი დარგის ექსპერტების რაოდენობა;
- ❖ ახალი თანამშრომლობებისა და პარტნიორობების, ინიცირებული პროექტების რაოდენობა;
- ❖ საერთაშორისო კონფერენციებსა და ფორუმებზე ბათუმის მონაწილეობის სტატისტიკა;
- ❖ ადგილობრივ და საერთაშრისო მედია საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის სტატისტიკა.

3.2 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

3.2.1 ტურისტული პოტენციალის კვლევა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

მოცემული კვლევა საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტს შეადგინოს ქალაქის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა, შეიმუშავოს კონკრეტული ინფრასტრუქტურული და სხვა ტიპის პროექტები და იზრუნოს მათ განხორციელებაზე.

პროგრამის აღწერა

ქალაქს, საკუთარი ისტორიული უბნებით და მრავალფეროვანი ძეგლებით გააჩნია განსაკუთრებული ტურისტულ პოტენციალი. როგორც წესი, ბათუმის ტურისტული ინფრასტრუქტურა კონცენტრირებულია ქალაქის ზღვისპირა ნაწილში, რის გამოც ერთის მხრივ, სხვა უბნების მოსახლეობა ვიზიტორებიდან მიღებულ სარგებელს სრულად ვერ ნახულობს და მეორეს მხრივ, ეს უბნები შესაბამისად განვითარების შესაძლებლობებს მოკლებულია. ამასთანავე, ტურისტების გარკვეულ ნაწილში კონცენტრაცია იწვევს სატრანსპორტო და კომუნალურ პრობლემებს და ხშირად მოსახლეობისა თუ ვიზიტორების უკმაყოფილების მიზეზი ხდება.

ბათუმის მერია აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან კოორდინაციით განახორციელებს ქალაქის ტურისტული პოტენციალის კვლევას ახალი შესაძლებლობების გამოვლენისა და მათი შემდგომი რეალიზაციის მიზნით. ტურისტული პოტენციალის კვლევის საფუძველზე დაიგეგმება და განხორციელდება შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტები. ამ მხვრივ განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ბათუმის ე.წ. „არატურისტულ“ უბნებს.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ქ. ბათუმის ტურისტული პოტენციალის კვლევის მომსახურების შესყიდვის ტექნიკური დავალების მომზადება და ტენდერის გამოცხადება;
- ✓ ქ. ბათუმის ტურისტული პოტენციალის კვლევის მომსახურების შესყიდვა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1	ქ. ბათუმის ტურისტული პოტენციალის კვლევის მომსახურების შესყიდვის ტექნიკური დავალების	შეუსაბამობა ტურიზმის არსებულ გამოწვევებთან	3	4	12	კოორდინაცია ტურიზმის დეპარტამენტთან და ტექნიკური პირობების შესაბამისად ჩამოყალიბება	2	4	8

	მომზადება და ტენდერის გამოცხადება								
2	ქ. ბათუმის ტურისტული პოტენციალის კვლევის მომსახურების შესყიდვა.	დაბალი ხარისხის კვლევის მომსახურების შესყიდვა	3	5	15	ტექნიკური დავალების მაქსიმალურად ზუსტად მომზადება	2	5	10

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ტურისტები;
- ვიზიტორები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ცენტრალური ხელისუფლება;
- რეგიონული ხელისუფლება;

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური
აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.
პროგრამა განხორციელდება ტენდერის საფუძველზე კვლევის მომზადების მომსახურების შესყიდვის გზით.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2018	ქ. ბათუმის ტურისტული პოტენციალის კვლევის მომსახურების შესყიდვის ტექნიკური დავალების მომზადება და ტენდერის გამოცხადება							x	x	x	x		
2018-2019	ქ. ბათუმის ტურისტული პოტენციალის კვლევის მომსახურების შესყიდვა.	x										x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მომზადებული ტურისტული პოტენციალის კვლევა;
- კვლევის რეკომენდაციებზე დაყრდნობით განხორციელებული პროექტების რაოდენობა.

3.2.2 საზღვაო და საჰაერო კავშირების დივერსიფიცირება

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ქალაქში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა და შესაბამისად ტურისტული და სხვა თანმდევი სექტორების განვითარება.

პროგრამის აღწერა

საზღვაო-საკრუიზო ტურიზმის განვითარების მიზნით, საზღვაო და საჰარეო კავშრების დივერსიფიცირებისა და განვითარების ხელშეწყობისათვის ქ, ბათუმის მერია დაამყარებს კავშირებს შესაბამის ბიზნეს ოპერატორებთან. მათი დაინტერესების მიზნით, მერია ორგანიზებას გაუწევს საქმიან შეხვედრებს, ჩაატარებს შესაბამის კვლევებს და უზრუნველყოფს შედეგების წარმოდგენას ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებზე. გარდა ამისა უზრუნველყოფს ქალაქის პოტენციალის წარმოჩენას სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშრისო ღონისძიებაზე.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტისა და კავშირების განვითარების მიზნით კონტაქტების დამყარება შესაბამის ოპერატორებთან;
- ✓ საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა საზღვაო და საჰაერო კავშირების განვითარების პოპულარიზაციისა და ახალი ოპერატორი კომპანიების დაინტერესების მიზნით;
- ✓ საზღვაო სამგზავრო ტრანსპორტირების განვითარების მიზნით კავშირების დამყარება შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან;
- ✓ საერთაშორისო და ადგილორივ ღონისძიებებში მონაწილეობა ნავსადგურის პოპულარიზაციისა და ახალი ოპერატორი კომპანიების დაინტერესების მიზნით.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძეზები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1	საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტისა და კავშირების განვითარების მიზნით კონტაქტების დამყარება შესაბამის ოპერატორებთან;	მიზნობრივი ჯგუფების ნაკლები დაინტერესება	4	5	20	პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ინფორმირებულობის ამაღლება. კომუნიკაცია დაკავშირებულ უწყებებთან	3,5	5	18
2	საერთაშორისო და ადგილობრივ	დაბალი აქტვობა ღონისძიებებში	3	4	12	მიზნობრივი ღონისძიებების	2	3	6

	ღონისძიებებში მონაწილეობა საზღვაო და საჰაერო კავშირების განვითარების პოპულარიზაციის ა და ახალი ოპერატორი კომპანიების დაინტერესების მიზნით;	მონაწილეობის მიმართულებით				შერჩევა და მონაწილეობა			
3	საზღვაო სამგზავრო ტრანსპორტირებ ის განვითარების მიზნით კავშირების დამყარება შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან	მიზნობრივი ჯგუფების ნაკლები დაინტერესება, თვითმმართველობი ს კომპეტენციის ჩარჩოები.	4	5	20	საერთაშორისო კონფერენციებსა და ფორუმებში მონაწილოება ქსელური კავშირების დამყარების მიზნით	3	5	15
4	საერთაშორისო და ადგილორივ ღონისძიებებში მონაწილეობა ნავსადგურის პოპულარიზაციის ა და ახალი ოპერატორი კომპანიების დაინტერესების მიზნით.	დაბალი აქტვობა ღონისძიებებში მონაწილეობის მიმართულებით	3	5	15	მიზნობრივი ღონისძიებების შერჩევა და მონაწილეობა	2	5	10

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- საზღვაო-საკრუიზო კომპანიები;
- ავიაკომპანიები;
- ტურისტული სააგენტოები;
- ტურისტები;
- ვიზიტორები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ცენტრალური ხელისუფლება;
- რეგიონული ხელისუფლება;
- კერძო სექტორი.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2019-2021	საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტისა და კავშირების განვითარების მიზნით კონტაქტების დამყარება შესაბამის ოპერატორებთან	x	x	x	x	x	x						
2019-2021	საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა საზღვაო და საჰაერო კავშირების განვითარების პოპულარიზაციისა და ახალი ოპერატორი კომპანიების დაინტერესების მიზნით	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2018-2021	საზღვაო სამგზავრო ტრანსპორტირების განვითარების მიზნით კავშრების დამყარება შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2018-2021	საერთაშორისო და ადგილორივ ღონისძიებებში მონაწილეობა ნავსადგურის პოპულარიზაციისა და ახალი ოპერატორი კომპანიების დაინტერესების მიზნით.	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ბათუმში მოქმედი საზღვაო-საკრუიზო კომპანიების რაოდენობა;
- ❖ ავიაკომპანიების რაოდენობა;
- ❖ მიზნობრივი ქვეყნების რაოდენობა, რომელთა მიმართულებითაც ხორციელდება საზღვაო და საჰაერო მარშრუტები;
- ❖ ტურისტების რაოდენობა;
- ❖ საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტისა და კავშირების განვითარების მიზნით ჩატარებული ფორუმებისა და საქმიანი შეხვედრების რაოდენობა;
- ❖ ბათუმში მოქმედი საზღვაო გადამზიდი კომპანიების რაოდენობა;
- ❖ მიზნობრივი ქვეყნების რაოდენობა, რომელთა მიმართულებითაც ხორციელდება მგზავრთა გადაყვანა ბათუმის პორტის სამგზავრო ტერმინალის საშუალებით;
- ❖ ტურისტების რაოდენობა;
- ❖ ნავსადგურისა და კავშირების განვითარების მიზნით ჩატარებული საქმიანი შეხვედრების რაოდენობა;
- ❖ ნავსადგურის პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის სტატისტიკა.

3.2.3 საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ცნობადობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდა განათლების საერთაშორისო ბაზარზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ინიცირებული პროექტების მხარდაჭერისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებლების შესაძლებლობების განვითარების გზით.

პროგრამის აღწერა

ბათუმს, როგორც რეგიონის ერთ-ერთ ტურისტულად აქტიურ და დინამიურ ქალაქს, ტურიზმის სხვა განვითარებად მიმართულებებთან ერთად გააჩნია საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების პოტენციალიც. ქალაქში დღეისათვის ფუნქციონირებს 3 სახელმწიფო და 7 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელთაც აქვთ უნარი შესაბამისი სასწავლო პროგრამების განვითარებით დაიკავონ თავიანთი ნიშა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

პროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმის მერია უფლებამოსილების ფარგლებში ხელს შეუწყობს ქალაქ ბათუმში ახალი, ევროპული საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნასა და ფუნქციონირებას, განახორციელებს ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ინიცირებული იმ პროექტების მხარდაჭერას, რომლებიც ითვალისწინებენ ამ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ცნობადობის გაზრდას განათლების საერთაშორისო ბაზარზე. პროგრამა ასევე უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობას მათი საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობის გზით. გარდა ამისა, პროგრამა უზრუნველყოფს ბათუმში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზების მხარდაჭერას.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების მხარდაჭერა;
- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა;
- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლობ დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა უცხოეთში სტაჟირების თანადაფინანსება;
- ✓ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების მხარდაჭერა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა

1	ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების მხარდაჭერა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	შესაბამის სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო უწყებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	2	3	6
2	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა	მიზნობრივი ჯგუფების ნაკლები ინტერესი	2	3	6	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას მიზნობრივი ჯგუფების მაქსიმალურად ინფორმირებისა და დაინტერესებისათვის.	1	2	2
3	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა უცხოეთში სტაჟირების თანადაფინანსება	მიზნობრივი ჯგუფების ნაკლები ინტერესი	2	3	6	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას მიზნობრივი ჯგუფების მაქსიმალურად ინფორმირებისა და დაინტერესებისათვის.	1	2	2
4	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების მხარდაჭერა	მიზნობრივი ჯგუფების ნაკლები ინტერესი	2	3	6	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს საინფორმაციო შეხვედრების მოწყობას მიზნობრივ ჯგუფებთან	1	2	2
		საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების არასათანადო ხარისხი	3	4	12	კონფერენციის საორგანიზაციო საკითხების მოგვარების კონკრეტული, მაღალი	2	2	4

						სტანდარტების მოთხოვნების განსაზღვრა			

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ბათუმში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ ახალგაზრდა ბათუმელი მეცნიერები;
- ❖ დოქტორანტები;
- ❖ უცხოელი მეცნიერები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ კვლევითი ცენტრები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ კვლევითი ცენტრები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქალაქ ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური პროგრამა უშუალოდ განხორციელდება პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულისა და დაკავშირებული ცენტრალური და რეგიონული სამთავრობო სტრუქტურების მიერ.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2020-21	ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების მხარდაჭერა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2021	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2021	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა უცხოეთში სტაჟირების თანადაფინანსება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

2020-2021	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების მხარდაჭერა.	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებაზე ორიენტირებული თანადაფინანსებული პროექტების რაოდენობა;
- ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა;
- საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა რაოდენობა, რომელთა თანადაფინანსებაც განხორციელდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან;
- უცხოეთში სტაჟირებაზე მყოფი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა რაოდენობა, რომელთა თანადაფინანსებაც განხორციელდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან;;
- მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის რაოდენობა, რომელიც ჩატარდება ქ. ბათუმში.

3.2.4 სპორტული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია გაზარდოს ბათუმის, როგორც საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მასპინძელი ქალაქის ცნობადობა და როლი როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო მასშტაბით რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სპორტული ტურიზმის, როგორც ქალაქის ერთერთი მაპროფილებელი მიმართულების განვითარებას.

პროგრამის აღწერა

ბოლო წლებში ბათუმის სასპორტო ინფრასტრუქტურაში განხორციელებულმა და დაგეგმილმა ინვესტიციებმა შესაძლებელი გახადა სპორტული ტურიზმის განვითარებაზე ზრუნვა. მიმდინარე პერიოდისთვის აჭარის მთავრობისა და ქ. ბათუმის მერიის ინიციატივით დასრულებულია და მიმდინარეობს შემდეგი სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტები:

ბათუმის ფეხბურთის სტადიონი - მშენებლობა დაწყებულია და მისი დასრულება 2020 წლისათვის იგეგმება. სტადიონი დაპროექტებულია უეფა-ს IV კატეგორიის მოთხოვნათა შესაბამისად და გათვლილია 20 000 მაყურებელზე. სტადიონის მოედანი დაპროექტებულია სადრენაჟო სისტემებითა და სანიაღვრე ქსელებით. სტადიონის გარე ტერიტორიაზე განთავსებული იქნება ღია პარკინგი, სკვერები, ბეტონის დეკორატიული ფილებისგან მოპირკეთებული ბილიკები, გზები და მოედნები.

სპორტული კომპლექსი - 3400 მაყურებელზე გათვლილი სპორტული კომპლექსი დაახლოებით 23 000 კვ.მეტრ ტერიტორიაზე მოეწყობა და იქ სხვადასხვა სპორტული სახეობების სექცია განთავსდება: სპორტული ტანვარჯიშისა და მხატვრული ტანვარჯიშის დარბაზი; ბ/რ ჭიდაობის დარბაზი; თავისუფალი ჭიდაობის დარბაზი; სპორტული ცეკვების დარბაზი; ჭადრაკის დარბაზი; ტაეკვონდოს დარბაზი; ქართული საბრძოლო ხელოვნების დარბაზი; უნივერსალური ტრანსფორმირებადი დარბაზი; კრივის დარბაზი. თანამედროვე სტანდარტების სპორტულ კომპლექსში გასახდელები, საპირფარეშოები, დამხმარე და საინვენტარო სათავსოები მოეწყობა. შენობას ასევე ღია ავტოსადგომი ექნება. კომპლექსი ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის.

პროექტი სპორტული კომპლექსის ტერიტორიაზე ასევე სასტუმროს მშენებლობას ითვალისწინებს. 138 ადგილიან სასტუმროში, 42 ადამიანზე გათვლილი საკონფერენციო დარბაზი განთავსდება. კომპლექსის მშენებლობა 2018 წელს დასრულდება.

მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობის დასრულება 2018 წლისათვი იგეგმება. სამშენებლო ფართი 13 600 კვ. მეტრს შეადგენს. მრავალფუნქციურ სპორტული დარბაზს დიდი და მცირე დარბაზები ექნება - დიდი დარბაზი გათვლილი იქნება 2500 მაყურებელზე, ხოლო მცირე - 500 მაყურებელზე.

ბათუმის სარაგბო სტადიონი - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი ბათუმის სარაგბო სტადიონი 2017 წლიდან ფუნქციონირებს. სტადიონი ორი მოედანისგან შედგება - ბუნებრივ საფარიანი მოედანი, რომლის ტრიბუნა 2480 მაყურებელზეა გათვლილი და ხელოვნურ საფარიანი მოედანი, რომლის ტრიბუნაც 500 მაყურებელს იტევს.

სპორტული ბაზა – შედგება ორი მოედნისგან, რომელიც გათვალისწინებულია 1575 მაყურებელზე, სპორტული ბაზის მოედნები დაპროექტდა ფიფას მოთხოვნის სტანდარტების შესაბამისად. ერთი მოედანი იქნება ხელოვნურ საფარიანი, ხოლო მეორე ბუნებრივი საფარიანი. ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მოეწყობა დარბაზი მოჭიდავეებისთვის. სატენდერო პირობებით შენობა შშმ პირებისთვის ადაპტირებული იქნება.

აღნიშნული სპორტული ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება ხელს შეუწყობს ბათუმის გადაქცევას საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მასპინძელ ქალაქად, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სპორტული ტურიზმის განვითარებას.

დაგეგმილი და მიმდინარე მსხვილი სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტების გათვალისწინებით, ქალაქის მერია ცენტრალურ და რეგიონულ მთავრობასთან მჭიდრო კოორდინაციით შეიმუშავებს შესაბამისი უბნების განვითარების კონცეფციას სპორტული დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის საჭირო სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით და წარუდგენს მათ განსახორციელებლად ინვესტორებს.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ მსხვილი სასპორტო ინფრასტრუქტურულ პროექტებთან მიმართებაში აუცილებელი დარგებისა და სერვისების განვითარების კვლევის მომზადება;
- ✓ კლვევის საფუძველზე საინვესტიციო წინადადებების შემუშავება;
- ✓ მათი განხორციელების პრომოუშენი ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებსა და შეხვედრებზე.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდების ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდების ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1	მსხვილი სასპორტო ინფრასტრუქტურულ პროექტებთან მიმართებაში აუცილებელი დარგებისა და სერვისების განვითარების კვლევის მომზადება	მომწოდებლის მიერ კვლევის მომსახურების არაჯეროვანი შესრულება	4	5	20	ტენიკური დავალების მაქსიმალურად ზუსტად განსაზღვრა	3	5	15
2	კლვევის საფუძველზე საინვესტიციო	დაკავშირებულ სტრუქტურებს შორის სუსტი	3	5	15	სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება და	2	5	10

	წინადადებების შემუშავება	კოორდინაციის არსებობა				პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა			
3	მათი განხორციელების პრომოუშენი ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებსა და შეხვედრებზე.	დაბალი აქტივობა ღონისძიებებში მონაწილეობის მიმართულებით. დაკავშირებული მხარეების ნაკლები ინტერესი	3	5	15	მიზნობრივი ღონისძიებების განსაზღვრა და მონაწილეობა	2	5	10

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ტურისტები;
- ❖ ვიზიტორები;
- ❖ სპორტული დაწესებულებები;
- ❖ ინვესტორები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ინვესტორები;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- ❖ არასანთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ სპორტული დაწესებულებები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

- ❖ ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური.
- ❖ ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურისა სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

პროგრამის ცალკეული ღონისძიებები განხორციელდება ტენდერის საფუძველზე შესაბამისი საქონელის, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის გზით.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2019-2020	მსხვილი სასპორტო ინფრასტრუქტურულ პროექტებთან მიმართებაში აუცილებელი დარგებისა და სერვისების განვითარების კვლევის მომზადება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2021	კლვევის საფუძველზე საინვესტიციო წინადადებების შემუშავება							x	x	x	x	x	x

2019-2021	მათი განხორციელების პრომოუშენი ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებსა და შეხვედრებზე.	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ბათუმის სასპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის დამხმარე დარგებისა და სერვისების მომზადებული კვლევა;
- ❖ კვლევის საფუძველზე შემუშავებული საინვესტიციო წინადადებების რაოდენობა;
- ❖ განხორციელებული პროექტების რაოდენობა.
- ❖ საერთაშორისო და ადგილობრივი სპორტული ღონისძიებების რაოდენობა, რომელიც გაიმართა ქ. ბათუმში.

3.2.5 სამედიცინო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტმა შესაბამის ცენტრალურ და რეგიონულ სამთავრობო სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად ხელი შეუწყოს ქალაქ ბათუმის ცნობადობის ზრდა სამედიცინო ტურიზმის თვალსაზრისით, სამედიცინო დაწესებულებების დატვირთვის კოეფიციენტის ზრდას, სამედიცინო სფეროში აკუმულირებული შემოსავლების ზრდასა და სამედიცინო ბიზნესის განვითარებას.

პროგრამის აღწერა

თანამედროვე მსოფლიოში აქტუალურია სამედიცინო ტურიზმის, როგორც სამედიცინო სფეროს, ტურიზმისა და ბიზნეს სექტორის სინერგიული განვითარების მოდელის დანერგვა. სამედიცინო ტურიზმის აქტუალობა განპირობებულია ქვეყნებს შორის სამედიცინო სფეროს განვითარების სხვადასხვა დონით. განვითარებულ ქვეყნებში არსებული მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების მიღება დაკავშირებულია მაღალ დანახარჯებთან, რაც ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდის მას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს ქალაქ ბათუმში მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიწოდებას კონკურენტული ფასით, რაც შემდგომში განაპირობებს ბათუმის სამედიცინო ტურიზმის ცენტრად ფორმირებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მსოფლიოს წამყვანი სამედიცინო ცენტრების (გერმანია,თურქეთი,ისრაელი და ა.შ) მსგავსი სამედიცინო ცენტრების ფორმირების ხელშეწყობა დსთ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საშუალო და დაბალ შემოსავლიანი მოქალაქეებისათვის.

პროექტის ფარგლებში განვითარდება ის ძვირადღირებული სამედიცინო მომსახურებები, რომელთა ხელმისაწვდომობაც განსაკუთრებით შეზღუდულია მსოფლიო ბაზარზე:

- კარდიოქირურგია;
- ინვიტრო განაყოფიერება;
- სტომატოლოგია;
- ბალნეოთერაპია;
- კლიმატოთერაპია.

აღნიშნული სერვისები მათი მნიშვნელოვნად დაბალი ფასის მიუხედავად, საკმაოდ მაღალ დონეზე არის განვითარებული ქალაქ ბათუმში. პროექტის ფარგლებში ხელი შეეწყობა მიწოდებული სერვისის ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებას და სწორი საიმიჯო პოლიტიკის გატარებას.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ სამედიცინო დაწესებულებების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ხელშეწყობა;
- ✓ სამედიცინო პერსონალის გადამზადება, მათ შორის მსოფლიოს წამყვან კლინიკებში;
- ✓ დონორებისა და ინვესტორების მოზიდვა სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარების უზრუნველსაყოფად;

- ✓ ბათუმის, როგორც სამედიცინო ტურიზმის ცენტრის ბრენდირება და შესამაბისი საპრომოუშენო ღონისძიებების განხორციელება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1	სამედიცინო დაწესებულებების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ხელშეწყობა	ქ. ბათუმის მერიის შეზღუდული სამოქმედო არეალი უფლებამოსილები დან გამომდინარე და ქვეყანაში მსგავსი კონცეფციის არარსებობა	4	5	20	ქ. ბათუმის მერია ითანამშრომლებს საკითხთან დაკავშირებულ ყველა სახელმწიფო სტუქტურასთან და უზრუნველყოფს კომპეტენციის ფარგლებში მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებას.	4	4	16
2	სამედიცინო პერსონალის გადამზადების ხელშეწყობა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	4	5	20	ქ. ბათუმის მერია ითანამშრომლებს საკითხთან დაკავშირებულ ყველა სახელმწიფო სტუქტურასთან და უზრუნველყოფს კომპეტენციის ფარგლებში მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებას.თანხე ბის ბიუჯეტში გათვალისწინება	4	4	16
3	ბათუმის, როგორც სამედიცინო ტურიზმის ცენტრის ბრენდირება და შესამაბისი საპრომოუშენო ღონისძიებების განხორციელება.	შეზღუდული ფინანსური რესურსები, სუსტი მარკეტინგული ღონისძიებები	4	4	16	ქ. ბათუმის მერია ითანამშრომლებს საკითხთან დაკავშირებულ ყველა სახელმწიფო სტუქტურასთან და უზრუნველყოფს კომპეტენციის ფარგლებში მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებას, ასევე	3	4	12

						მარკეტინგული აქტივობების დაგეგმვას შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით			

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- დსთ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მოქალაქეები;
- სამედიცინო დაწესებულებები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ცენტრალური ხელისუფლება;
- რეგიონალური ხელისუფლება;
- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- სამედიცინო დაწესებულებები;
- საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2019-2021	სამედიცინო დაწესებულებების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ხელშეწყობა				x	x	x	x	x	x	x	x	x

2019-2021	სამედიცინო პერსონალის გადამზადება, მათ შორის მსოფლიოს წამყვან კლინიკებში		x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2021	დონორებისა და ინვესტორების მოზიდვა სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარების უზრუნველსაყოფად				x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2021	ბათუმის, როგორც სამედიცინო ტურიზმის ცენტრის ბრენდირება და შესამაბისი საპრომოუშენო ღონისძიებების განხორციელება.				x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ქალაქ ბათუმის სამედიცინო დაწესებულებების მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების მაჩვენებელი;
- ქალაქის წამყვანი, მაპროფილებელი სამედიცინო დარგების და მომსახურებების რაოდენობა;
- გადამზადებული სამედიცინო პერსონალის რაოდენობა, რომელთა გადამზადების ხარჯების თანადაფინანსება განხორციელდა ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

3.3 საერთაშორისო თანამშრომლობა და ქსელური კავშირები

3.3.1 თანამშრომლობა საერთაშორისო დონორ და საფინანსო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან. ერთობლივი პროექტების ინიცირება და განხორციელება

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული მიზნების მიღწევას საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, უზრუნველყოს ამოცანებისა და აქტივობების განხორციელება არასამთავრობო, სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორული თანამშრომლობის საფუძველზე.

პროგრამის აღწერა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფართო და საკმაოდ ხანგრძლივი გამოცდილება გააჩნია.

მუნიციპალიტეტი 2007 წლიდან მჭიდროდ თანამშრომლობს **გერმანიის განვითარების ბანკთან (KfW)** ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, ქალაქის მთელ ტერიტორიაზე შეიცვალა და განახლდა წყლისა და საკანალიზაციო სისტემები, მოეწყო სანიარვრე არხები, აშენდა ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა.

2008 წლიდან ბათუმის მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს **ევროპის რეკონსტუქციისა და განვითარების (EBRD)** ბანკთან მუნიციპალური ტრანსპორტის გაუმჯობესების მიმართულებით. კერძოდ 2008 წელს „ბათუმის ავტობუსების პროექტი"-ს ფარგლებში ბანკის შეღავათიანი სესხის ფარგლებში განხორციელდა 130 ერთეული ზონდას ტიპის ავტობუსის შეძენა. 2016 წლიდან ხორციელდება აღნიშნული პროექტის მე-2 ფაზა, რომლის ფარგლებშიც ბანკის შეღავათიანი სესხისა და E5P გრანტის ფარგლებში მოხდება 20 ერთეული დიზელისა და 10 ერთეული ელექტრო ავტობუსის შეძენა. ამ მხრივ ბათუმი იქნება ამიერკავკასიაში პირველი ქალაქი, სადაც ელექტსროავტობუსები იმოძრავებს.

მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან პარტნიორს წარმოადგენს **გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)**, რომელთან ერთადაც ხორციელდება პროექტი - ინტეგრირებული მდგრადი სატრანსპორტო სისტემების განვითარება ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის - პროექტის მიზანს წარმოადგენს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მდგრადი და ინტეგრირებული მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემების და მობილობის გეგმების განვითარების ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მდგრადი სატრანსპორტო პოლიტიკის ჩამოყალიბებას ეროვნულ დონეზე და მწვანე ურბანული განვითარების პოლიტიკისა და მექანიზმების ფორმირებას. პროექტის ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული გერმანული კომპანია A+S Consult-მა მოამზადა

ქალაქ ბათუმის სატრანსპორტო მოდელი, ბათუმის ინტეგრირებული მდგრადი ურბანული მობილობის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, პარკირების სტრატეგია და პოლიტიკა, ველოსისტემის და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ოპტიმიზაციის გეგმა. გარდა ამისა, პროექტი მოიცავს სადემონსტრაციო ღონისძიებების განხორციელებაში ბათუმის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერას.

2015 წლიდან ბათუმის მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს **USAID-ის პროგრამა დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI)**, რომელიც აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული 5 წლიანი პროექტია და ითვალისწინებს საჯარო მომსახურების ხარისხის და ეფექტიანობის გაუმჯობესებაზე, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების წახალისებაზე და ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ასპექტში მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობაზე მუნიციპალიტეტის დახმარებას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მომზადდა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექნიკური დავალება, ასევე მუნიციპალიტეტს გაეწია დახმარება პროგრამული ბიუჯეტის მომზადების მიმართულებით.

2014 წლიდან ბათუმის ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმის საფუძველზე მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რომლებთან თანამშრომლობითაც განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- **„განახლებადი ენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის პროექტი საქართველოს მუნიციპალიტეტებისთვის“** – BP საქართველოს მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში განხორციელდა ლერმონტოვის ქუჩაზე არსებულ მერიის ადმინისტრაციულ შენობაში გათბობა-გაგრილების სისტემის მოდერნიზაცია, არსებულ სისტემას დაემატა „ჰაერი-წყალი“ ტიპის თბური ტუმბოები და სხვა მოწყობილობები. პროექტი განახორციელა კავშირმა „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით;
- **„სუფთა ენერგიის პროგრამა“ - გარე განათების სადემონსტრაციო პროექტი** - USAID/Winrock თანამშრომლობის ფარგლებში, USAID-ის გრანტით განხორციელდა 136 ერთეული ენერგოეფექტური გარე განათების სანათის დამონტაჟება გორგილაძის ქუჩაზე. პროექტის თანამონაწილეობისათვის, ქ. ბათუმის მერიის მიერ განხორციელდა გორგილაძის ქუჩის გაგრძელებისა და კეთილმოწყობის სამუშაოები, ასევე მოეწყო შინდისის გმირების სახელობის სკვერი. სკვერი გაშენებულია 4 ჰა ფართობზე და ადაპტირებულია ევროსტანდარტების შესაბამისად.
- **ენერგოეფექტურობის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შენობებისათვის** - პროექტი განხორცილედა გერმანიის განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი 300 000 ევროს გრანტის ფარგლებში. პროექტის მიერ მომზადდა მუნიციპალიტეტის შენობების ბაზის შექმნა, აღნიშნული ბაზიდან დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად 1 მრავალსართულიანი საცხოვრებელი და 29 საზოგადოებრივი/მუნიციპალური შენობის შერჩევა ენერგო აუდიტისათვის მომზადებისა და შემდგომში ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელების მიზნით. ასევე საინვესტიციო სქემების შეთავაზება აღნიშნულ შენობებში ენერგოეფექტურობის ღონისძიებების დასაფინანსებლად. პროექტი ასევე ითვალისწინებს მდგრადი ურბანული განვითარების დაგეგმვისათვის

კონცეპტუალური ჩარჩოს, პოლიტიკისა და ღონისძიებების შეთავაზებას (ბათუმის მახასიათებლებისა და საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად). მიმდინარე ეტაპზე იგეგმება პროექტის სადემონსტრაციო ღონისძიებების განხორციელება KfW ბანკის გრანტის ფარგლებში.

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის თანამშრომლობა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ევროკავშირთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან მუნიციპალიტეტის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად ერთობლივი პროექტების ინიცირებისა და განხორციელებისათვის.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ევროკავშირთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის ინიცირება;
- ✓ საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ევროკავშირთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1	პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ევროკავშირთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის ინიცირება	პროექტების წერის ტექნიკური უნარების სიმცირე. დაკავშირებული მხარეების ნაკლები ინტერესი	4	5	20	შესაძლებლობების გაძლიერება გადამზადების გზით. პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი პროექტების მომზადება და განხორციელება	3	5	15
2	საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან,	დაკავშირებული მხარეების	3	5	15	დაინტერესებული მხარეების ინფორმირების	2	5	10

	ევროკავშირთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება.	ნაკლები ინტერესი				ამაღლება მუნიციპალიტეტის შესაძლებლობების შესახებ			

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა;
- ❖ საერთაშორისო საფინანსო და დონორი ორგანიზაციები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ საერთაშორისო საფინანსო და დონორი ორგანიზაციები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ დარგობრივი საკონსულტაციო კომპანიები და კერძო ექსპერტები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.
საერთაშორისო საფინანსო და დონორი ორგანიზაციები.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულები დარგობრივი მიმართულებების შესაბამისად.

პროგრამა განხორციელდება როგორც პარტნიორი ორგანიზაციებიდან მოზიდული შეღავათიანი სესხისა თუ გრანტის საფუძველზე, ასევე მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2018-2021	პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ევროკავშირთან, ადგილობრივ და	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

	საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის ინიცირება												
2018-2021	საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ევროკავშირთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ევროკავშირთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ინიცირებული თანამშრომლობა;
- ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების რაოდენობა.

3.3.2 დამეგობრებულ ქალაქებთან პარტნიორული ურთიერთობების განვითარება

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ორმხრივი თანამშრომლობის საფუძველზე ქალაქებთან ისტორიული, კულტურული, ეკონომიკური განვითარების მიმართულებით პარტნიორული კავშირების დამყარება, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული მიმართულებებით გამოცდილებების გაზოარებასა და არსებული პოტენციალის გამოყენებას ქალაქ ბათუმის სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად.

პროგრამის აღწერა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს 1987 წლიდან ყავს დამეგობრებული ქალაქები მსოფლიოს მასშტაბით, რომლებთანაც თანამშრომლობს ქალაქის განვითარების, ეკონომიკის, განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სხვა ორმხრივი ინტერესის საფუძველზე შერჩეულ სფეროებში. ქალაქ ბათუმის დამეგობრებულ ქალაქებს შორისაა ქ. ბარი (იტალია. 1987წ), ქ. სან-სებასტიანი (ესპანეთი, 1987წ), ქ. სავანა (აშშ, ჯორჯიას შტატი. 1992წ), პირეი (საბერძნეთი, 1996წ), ტრაბზონი (თურქეთი, 2000წ), ვანაძორი (სომხეთი, 2006წ.), ვოლოსი (საბერძნეთი, 2007წ.), იალტა (უკრაინა, 2008წ.), ბურგასი (ბულგარეთი, 2009წ.) მარბეია (ესპანეთი, 2010წ.) კუშადასი (თურქეთი, 2010 წ.) ვერონა (იტალია, 2010 წ.), ორდუ (თურქეთი, 2011წ.), ტერნოპოლი (უკკრაინა, 2011წ.), ნიუ ორლეანი (აშშ, 2012წ.), იალოვა (თურქეთი, 2012წ.), ნახჭევანი (აზერბაიჯანი, 2012წ.), აშოდი (ისრაელი, 2012წ.), დაუგავპილსი (ლატვია, 2012წ.), დონეცკი (უკრაინა, 2013წ.), შარმ ელშეიხი (ეგვიპტე, 2014წ.), პრაღა (ჩეხეთი, 2013წ.), ურუმჩი (ჩინეთი, 2013 წ.), იურმალა (ლატვია, 2014წ.), ბრესტი (ბელარუსი 2015წ.), პაფოსი (კვიპროსი, 2016წ.)

2012 წლიდან ქ. ბათუმი ჩართულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამაში. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმი, პარტნიორ ქალაქ როსტოკთან ერთად მუშაობდა ქალაქის განვითარების გეგმის მეთოდოლოგიაზე. პროექტის პირველ ეტაპზე როსტოკელი ექსპერტების მიერ შემუშავდა ქალაქის განვითარების ძირითადი მიმართულებების სარეკომენდაციო დოკუმენტი. 2016 წელს დასრულდა აღნიშნული პროექტის პირველი ეტაპი. მეორე ეტაპზე თანამშრომლობა 2 წლის განმავლობაში გაგრძელდება ქალაქ როსტოკის მიერ ქ. ბათუმისათვის საექსპერტო მხარდაჭერისა და ცნობიერების ამაღლების მხრივ ქალაქის მდგრადი განვითარების, ნარჩენების მართვისა და ტურიზმის მიმართულებით.

2015 წელს ქ. ბათუმი დამეგობრდა აშშ ქალაქ გოლდენთან ნარჩენების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და განხორციელებასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის შესაძებლობების გაძლიერებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. ქალაქების დამეგობრება პროექტის „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში“ (WMTR) ფარგლებში შედგა. პროექტის ფარგლებში უკვე მომზადდა ქ. ბათუმის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი სამოქმედო გეგმა. ასევე განსაზღვრულია ნარჩენების წყაროსთან სეპარაციის დანერგვის მიმართულებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა.

პროგამის ფარგლებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი გააგრძელებს და გააქტიურებს არსებულ თანამშრომლობებს პარტნიორ ქალაქებთან, ასევე უზრუნველყოფს ახალი პარტნიორობების დამყარების მიზნით თანამშრომლობის ინიცირებასა და ერთობლივი პროექტების განხორციელებას.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად პარტნიორ და დამეგობრებულ ქალაქებთან თანამშრომლობის ინიცირება;
- ✓ დამეგობრებულ და პარტნიორ ქალაქებთან ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება;
- ✓ დამეგობრებული ქალაქების გააქტიურება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიმართულებით.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1	პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად პარტნიორ და დამეგობრებულ ქალაქებთან თანამშრომლობის ინიცირება	დაკავშირებული მხარეების ნაკლები ინტერესი	4	5	20	ერთობლივ ღონისძიებებში მონაწილეობა. ქალაქის პრომოუშენი სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებაზე	3	5	15
2	დამეგობრებულ და პარტნიორ ქალაქებთან ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება	დაკავშირებული მხარეების ნაკლები ინტერესი	3	5	15	ერთობლივ ღონისძიებებში მონაწილეობა. ქალაქის პრომოუშენი სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებაზე	2	5	10
3	დამეგობრებული ქალაქების გააქტიურება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიმართულებით.	დაკავშირებული მხარეების ნაკლები ინტერესი	3	5	15	ერთობლივ ღონისძიებებში მონაწილეობა. ქალაქის პრომოუშენი სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებაზე	2	5	10

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის პარტნიორი ქალაქები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის პარტნიორი ქალაქები;
- ❖ საერთაშორისო ორგანიზაციები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;
საერთაშორისო ორგანიზაციები.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

პროგრამა უშუალოდ განხორციელდება პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მიერ.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2018-2021	პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად პარტნიორ და დამეგობრებულ ქალაქებთან თანამშრომლობის ინიცირება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2018-2021	დამეგობრებულ და პარტნიორ ქალაქებთან ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2018-2021	დამეგობრებული ქალაქების გააქტიურება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიმართულებით.	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ დამყარებული ახალი პარტნიორობის რაოდენობა;
- ❖ ერთობლივად განხორციელებული პროექტების რაოდენობა;
- ❖ აქტიური სტატუსის მქონე პარტნიორი ქალაქების რაოდენობა.

3.4 ბათუმში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების განვითარება

3.4.1 ქ. ბათუმში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების განვითარების შესაძლებლობების კვლევა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია კვლევაზე დაყრდნობით გამოავლინოს ქალაქის კონკრეტული უბნების განვითარების შესაძლებლობები. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების შექმნა უზრუნველყოფს ეკონომიკური აქტივობის წერტილების შექმნას ქალაქში, რაც ასევე განაპირობებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას შემოსავლების გენერირების თვალსაზრისით.

პროგრამის აღწერა

ეკონომიკური აქტივობა და სამუშაო ადგილები კონცენტრირებულია ბათუმის ცენტრალურ ნაწილში, რაც ერთის მხრივ წარმოქმნის სატრანსპორტო პრობლემებს, მეორეს მხრივ კი ამცირებს ქონების ღირებულებას ქალაქის სხვა ნაწილებში. კონკრეტულ ტერიტორიის ისტორიული ფაქტორი, იქ არსებული ინფრასტრუქტურა და მისი მაცხოვრებლები განაპირობებს კონკრეტული ადგილის გამოყენებისა და განვითარების შესაძლებლობას.

ქალაქის ცალკეული ადგილების შესაძლებლობის შესაფასებლად, მოხდება კონკრეტული ადგილების იდენტიფიცირება, რომელთაც არსებული მოცემულობით განვითარების, ან ახალი ფუნქციონალური დატვირთვის შემთხვევაში გააჩნიათ პოტენციალი იქცნენ ბათუმის ცენტრებად როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით. ამ მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს შესაბამისი კვლევის ჩატარებას და კვლევის საფუძველზე არსებული მგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შეფასებას.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ქ. ბათუმის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ცენტრების შექმნის კვლევის ტექნიკური დავალების შემუშავება
- ✓ ქ. ბათუმის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ცენტრების შექმნის კვლევის მომზადების მომსახურების შესყიდვა.
- ✓ ეზოებში მცირე კომერციული პროექტების განვითარების მხარდაჭერა - კვლევის მომზადება და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
- ✓ ეზოებში მცირე კომერციული პროექტების განვითარების მხარდაჭერა - ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელების მხარდაჭერა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების	რისკის აღწერა	რისკის წონა	რისკის	რისკის წონა

	დასახელება		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა	დაძლევის ღონისძებები	მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1	ქ. ბათუმის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ცენტრების შექმნის კვლევის ტექნიკური დავალების შემუშავება	დაბალი ხარისხის ტექნიკური დავალების შემუშავება	3	5	15	კოორდინირებული მუშაობა დაკავშირებული მხარეების და ორგანიზაციების ჩართულობით	2	5	10
2	ქ. ბათუმის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ცენტრების შექმნის კვლევის მომზადების მომსახურების შესყიდვა.	დაბალი ხარისხის კვლევის დოკუმენტის მომზადება მომწოდებლის მიერ.	3	5	15	მაქსიმალურად ზუსტი ტექნიკური დავალებისა და პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნების მომზადება, მომსახურების განხორციელების პროცესის მონიტორინგის განხორციელება	2	5	10
3	ეზოებში მცირე კომერციული პროექტების განვითარების მხარდაჭერა - კვლევის მომზადება და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება	დაბალი ხარისხის კვლევის დოკუმენტის მომზადება მომწოდებლის მიერ.	3	5	15	მაქსიმალურად ზუსტი ტექნიკური დავალებისა და პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნების მომზადება, მომსახურების განხორციელების პროცესის მონიტორინგის განხორციელება	2	5	10
4	ეზოებში მცირე კომერციული პროექტების განვითარების მხარდაჭერა - ინფრასტრუქტურული ღონისძიებების	პროექტების სიცოცხლისუნარიანობა	3	5	15	რისკის შემცირება ბენეფიციარების მიზნობრივი შერჩევის გზით	2	5	10

	განხორციელების მხარდაჭერა.								

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობა.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ცენტრალური ხელისუფლება;
- რეგიონული ხელისუფლება;
- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- არასამთავრობო ორგანიზაციები;
- სამოქალაქო სექტორი;
- ბიზნეს სექტორი.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2018-2019	ქ. ბათუმის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ცენტრების შექმნის კვლევის ტექნიკური დავალების შემუშავება							x	x	x	x	x	x
2018-2019	ქ. ბათუმის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ცენტრების შექმნის კვლევის მომზადების მომსახურების შესყიდვა.	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ქ. ბათუმის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ცენტრების შექმნის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტი;
- დოკუმენტის საფუძველზე ინიცირებული და განხორციელებული პროექტებისა და წინადადებების რაოდენობა.

3.5 ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების განვითარების ხელშეწყობა

3.5.1. ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების ეკონომიკური განვითარების სტიმულირება

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია გაზარდოს შემოერთებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა მათთვის მიზნობრივ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით. პროგრამის მიზანია ასევე ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების ეკონომიკური პოტენციალის ათვისების ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის მიმართულებით სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების განხორციელებით.

პროგრამის აღწერა

2011 წელს, ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციული საზღვრების გაფართოების შემდგომ, ქალაქის ტერიტორიის საზღვრებში მოექცა შემოგარენში მდებარე სოფლები, სადაც მოსახლეობა მისდევს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. ტერიტორიისათვის ქალაქის სტატუსის მინიჭების შემდგომ, მოსახლეობას გარკვეულწილად აღარ მიუწვდება ხელი სოფლის მეურნეობის განვითარების არსებულ პროგრამებზე. აღნიშნული მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, ქ. ბათუმის მერია აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მჭიდრო კოორდინაციით უზრუნველყოფს აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივ პროგრამებსა და ქვეპროგრამებში ქ. ბათუმის შემოერთებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობას.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ❖ კომუნიკაცია აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამებში ქ. ბათუმის მოსახლეობის გათვალისწინებასთან დაკავშირებით და ასეთი პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფა., საჭიროების შემთხვევაში კოორდინაციაში ჩართულობა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1	კომუნიკაცია აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან აჭარის არ სოფლის მეურნეობის	მიზნობრივი ჯგუფების ნაკლები დაინტერესება	3	5	15	პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ინფორმირებულობის ამაღლება	2	5	10

	სამინისტროს მიზნობრივი პროგრამებში ქ. ბათუმის მოსახლეობის გათვალისწინებასთან დაკავშირებით და ასეთი პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფა., საჭიროების შემთხვევაში კოორდინაციაში ჩართულობა.								

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქ. ბათუმის შემოერთებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით.

პროგრამა განხორციელდება უშუალოდ პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2019-2021	კომუნიკაცია აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამებში ქ. ბათუმის მოსახლეობის გათვალისწინებასთან	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

	დაკავშირებით და ასეთი პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფა., საჭიროების შემთხვევაში კოორდინაციაში ჩართულობა.												

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ქალაქის შემოერთებული ტერიტორიებისათვის ამოქმედებული მიზნობრივი პროექტების რაოდენობა;
- ❖ ქალაქის შემოერთებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ბენეფიციარების რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამებით.

3.5.2 გადამამუშავებელ საწარმოების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების ურბანიზაციის ხელშეწყობა, მათი ეკონომიკური აქტივობის გაძლიერება და შემოერთებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში, აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით, ქალაქ ბათუმის მერია ხელს შეუწყობს ქალაქის შემოერთებულ ტერიტორიებზე, სოფლის ტიპის დასახლებებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნასა და განვითარებას. ამ მიზნით ქ. ბათუმის მერია დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოფს მიწის შეღავათიანი პირობებით გადაცემას, ტერიტორიის კომუნიკაციით უზრუნველყოფას და ასევე კონსულტაციების გაწევას მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მოგვარების მიმართულებით.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით, დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი წინადადებების განხილვა;
- ✓ მიწის შეღავათიანი პირობებით გადაცემასთან დაკავშირებული საკითხების უზრუნველყოფა;
- ✓ ტერიტორიის უზრუნველყოფა კომუნიკაციებით;
- ✓ საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრების გამართვა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდების ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდების ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1	აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით, დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი წინადადებების განხილვა	დაინტერესებული მხარეების დაბალი აქტივობა	3	5	15	შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება	3	4	12
2	მიწის შეღავათიანი პირობებით გადაცემასთან დაკავშირებული	მუნიციპალიტეტის შეზღუდული ხელმისაწვდომობა მიწაზე	3	5	15	მიწის გადმოცემის საკითხის ინიცირება ცენტრალურ ან რეგიონის ხელისუფლებასთან	2	5	10

	საკითხების უზრუნველყოფა								
3	ტერიტორიის უზრუნველყოფა კომუნიკაციებით	დროში გაწელილი რეაგირება	3	5	15	სანებართვო პროცედურების კოორდინირებული განხორციელება	2	5	10
4	საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრების გამართვა.	დაინტერესებული მხარეების დაბალი აქტივობა	3	5	15	შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება	2	5	10

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებით დაინტერესებული პირები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მერიის ქონებისა და სერვისების მართვის სამსახური;
ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური.
პროექტი განხორციელდება უშუალოდ პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მიერ განმახორციელებელ პარტნიორთან - აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2019-2021	აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით, დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი წინადადებების განხილვა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2021	მიწის შეღავათიანი პირობებით გადაცემასთან დაკავშირებული საკითხების უზრუნველყოფა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

2019-2021	ტერიტორიის უზრუნველყოფა კომუნიკაციებით	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2021	საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრების გამართვა.	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების მშენებლობის მიმართულებით შემოსული წინადადებების რაოდენობის ზრდა;
- ქალაქის ტერიტორიაზე მოქმედი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების რაოდენობა;
- გამართული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრების რაოდენობა.

სტრაგეგიული მიმართულება 4

მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება

4.1 კომუნალური სერვისების გაუმჯობესება

4.1.1 უწყვეტი წყალმომარაგების სისტემის განვითარება
4.1.2 წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია
4.1.3 სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია
4.1.4 მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემის დანერგვა და განხორციელება
4.1.5 მოქალაქეთა ბუნებრივი აირით მომსახურების უზრუნველყოფა
4.1.6 ქალაქის ენერგომომარაგების გაუმჯობესების ხელშეწყობა

ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები და საბინაო პოლიტიკა

4.2.1 შიდასაუბნო გზების რეაბილიტაცია
4.2.2 საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა
4.2.3 მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა

4.3 მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარება

4.3.1 ქ. ბათუმის ეფექტური პარკირების სისტემის შემუშავება და ამოქმედება
4.3.2 მუნიციპალური ტრასნპორტით მგზავრთა გადაყვანის ეფექტური სიტემის შემუშავება და განხორციელება
4.3.3 ბათუმის მუნიციპალური ავტობუსების პარკის განახლება
4.3.4 ქალაქ ბათუმის ველოსისტემის განვითარება
4.3.5 მუნიციპალური ტრანსპორტის ერთიანი სატარიფო სისტემის დანერგვა

4.4 ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება. განახლებადი ენერგიის გამოყენების ზრდა

4.4.1 ენერგოეფექტურობის სადემონსტრაციო პროექტების განხორციელება.
4.4.2 საცხოვრებელი სახლების დათბუნება
4.4.3 გარე განათების მინიმალური სტანდარტის დანერგვა

4.5 ქალაქის გამწვანებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებები

4.5.1 ქალაქის გამწვანების გეგმის შემუშავება და განხორციელება
4.5.2 ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება
4.5.3 კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებების განხორციელება

4.6 მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება

4.6.1 მუნიციპალური სერვისების ავტომატიზაცია და მომსახურების „ერთი ფანჯრის პრინციპი“-ამოქმედება

4.7 მუნიციპალური ქონების მართვა

4.7.1 მუნიციპალური ქონების ინვენტარიზაცია

4.7.2 ინფრასტრუქტურული პროექტებისა და აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპრორპიაციას დაქვემდებარებული უძრავი ქონების ათვისება

4. მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება

4.1 კომუნალური სერვისების გაუმჯობესება

4.1.1 უწყვეტი წყალმომარაგების სისტემის განვითარება

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია წყლის სისტემების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა ქალაქის მთელ ტერიტორიაზე და მოსახლეობისათვის წყლის უსაფრთხოდ და უწყვეტ რეჟიმში მიწოდების უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა

ქალაქ ბათუმში გერმანიის განვითარების ბანკის (KfW) შეღავათიანი სესხის ფარგლებში 2007 წლიდან მიმდინარეობს წყლისა და კანალიზაციის რეაბილიტაციის პროექტი, რომლის I და II ფაზების ფარგლებში განხორციელდა წყლისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია ძველ ბათუმში, ასევე გადამცემი მაგისტრალების რეაბილიტაცია, წყლის სისტემის რეაბილიტაცია ე.წ. ჭაობის ტერიტორიაზე, ბარცხანის უმეტესი ნაწილის, ლეონიძის და ინასარიძის ქუჩების დასახლებებში. ინჯალოსა და სალიბაურის სამარაგო რეზერვუარების მშენებლობა, ადლიის წყალარინების გამწმენდი ნაგებობისა და ჩაისუბნის წყლის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, ბარცხანის წყლის სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია, A და B წყალარინების სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია და სხვა თანმდევი ღონისძიებები. სარფი, გონიოს, კვარიათისა და ახალსოფლის წყალარინების რეაბილიტაცია 7 შუალედური სატუმბო სადგურებით, ჩაისუბნის წყალგამწმმენდი ნაგებობის მშენებლობა, მეჯინისწყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, ძველი ბათუმის ტერიტორიაზე წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია. პროექტის მესამე ფაზის ფარგლებში განხორციელდა: ე.წ ჭაობის დასახლების წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია, ბონი-გოროდოკის, ბარცხანისა და თამარის დასახლების წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია, მახინჯაურის 1800 მ3 წყლის რეზერვუარის მშენებლობა, ჩაქვის, მწვანე კონცხისა და მახინჯაურის წყალმომარაგების ახალი სისტემების მშენებლობა, ჩაქვში 2500 მ3 და 900 მ3 წყლის სამარაგო რეზერვუარის მშენებლობა, თამარის დასახლების წყალმომარგება, ანგისის ქუჩისა და აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიები.

პროექტის მე-4 ფაზის ფარგლებში განხორციელდება გონიოს დასახლებაში სასმელი წყლის რეზერვუარის მშენებლობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის შესყიდვა, 2000 მ3 წყლის რეზერვუარის მშენებლობა და შესაბამისად ახალსოფლის, გონიოსა და კვარიათის წყალმომარაგების სამუშაოები. ასევე განხორციელდება წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები ბათუმის სამრეწველო უბანში.

შპს „ბათუმის წყალი“ წყალმომარაგების, წყალარინებისა და სანიაღვრე წყლების სისტემას უწევს ექსპლუატაციას და უზრუნველვყოფს მის ნორმალურ ფუნქციონირებას. ქალაქ ბათუმის მერიამ და შპს „ბათუმის წყალმა“ მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება 2010 წელს დაიწყო. მოსახლეობისთვის სრულიად უფასოდ ხდება სტანდარტული და რადიომრიცხველების დამონტაჟება. გამრიცხველიანების შედეგად შემცირდა არაშემოსავლიანი წყლის რაოდენობა და გაიზარდა გადასახადის ამოღება.

გამრიცხველიანებული მოსახლეობის საერთო რაოდენობა 83%-ს შეადგენს. დარჩენილი აბონენტების აღრიცხვის ახალ სისტემაზე გადაყვანა ეტაპობრივად მოხდება.

წყლის დაქლორვის პროცესის თანამედროვე სისტემაზე გადაყვანის მიზნით კომპანია „ბათუმის წყალმა“ გაზობრივი ქლორი უფრო უსაფრთხო თხევადი ქლორით შეცვალა, რომლის წარმოება ადგილზე, სათავე ნაგებობებსა, თუ რეზერვუარებში ხდება. წყლის ხარისხის უწყვეტ რეჟიმში მონიტორინგს კომპანიის ცენტრალური ლაბორატორია, სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი ქიმიური, მიკრობიოლოგიური და ორგანოლეპტიკური თვისებების შესაბამისად ახდენს. ხარისხის კონტროლი სათაო ნაგებობებზე, რეაზერვუარებში და ქალაქის წყალსადენის ქსელში ხორციელდება.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ გონიოს დასახლებაში სასმელი წყლის რეზერვუარის მშენებლობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის შესყიდვა;
- ✓ 2000 მ3 წყლის რეზერვუარის მშენებლობა;
- ✓ ახალსოფლის, გონიოსა და კვარიათის წყალმომარაგების სამუშაოების განხორციელება;
- ✓ სამრეწველო უბნის წყალმომარაგების სამუშაოების განხორციელება;
- ✓ ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში წყალმომარაგების სამუშაოების პირველი ეტაპის ფარგებში აბონენტთა წყლის ცენტრალურ სისტემაზე დაერთების სამუშაოების განხორციელება.
- ✓ ე.წ. „შემოერთებულ ტერიტორიებზე“ წყლის სისტემის (ჭაბურღილის) მშენებლობისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა
- ✓ ე.წ. „შემოერთებულ ტერიტორიებზე“ წყლის სისტემის (ჭაბურღილის) მშენებლობა

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

გონიოს დასახლებაში სასმელი წყლის რეზერვუარის მშენებლობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის შესყიდვა	შეზღუდული ხელმისაწვდომობა	3	4	12	თანამშრომლობა შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან	2	3	6
2000 მ3 წყლის რეზერვუარის მშენებლობა	მომზადებული საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციის ხარვეზი.	3	4	12	კვალიფიციური განმახორციელებელი კონსულტანტის მიერ დოკუმენტაციის დეტალური გადახედვა და შესაბამისი კორექტირების შეტანა სატენდერო პროცედურების დაწყებამდე.	2	3	6
	შეზღუდული ფინანსური საშუალებები;	3	5	15	დონორთან ერთად პროექტის განხორციელებისათვის საჭირო სახსრების მობილიზება.	2	5	10

5.1.3 ძველი ბათუმის ისტორული განაშენიანების რეგულირების ზონაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და რეაბილიტაცია

5. ქალაქის ურბანული განვითარება

5.1 ურბანული განვითარების მარეგულირებელი სტრატეგიული განვითარების და სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება და ამოქმედება

5.1.1 მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება და სამშენებლო პოლიტიკის გაუმჯობესება

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ქალაქის დასახლებული ტერიტორიების გეგმაზომიერი განაშენიანება და რაციონალური გამოყენება; ქალაქის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული გეგმარებითი დავალების შესაბამისად ქალაქ ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება ქალაქის ტერიტორიის გამოყენების, განაშენიანების ძირითადი პარამეტრების, კეთილმოწყობის, გარემოს დაცვის, ლანდშაფტისა და სარეკრეაციო სივრცეების სისტემების, უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიული პირობების, საინჟინრო, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის და სხვა მიმართულებების გათვალისწინებით. გეგმის შემუშავების პარალელურად, ასევე ანალიზს დაექვემდებარება და გადაიხედება საკრებულოს მიერ მიღებული ადრინდელი რეგულაციები და დადგენილებები მათი ქმედითუნარიანობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით. საჭიროების შემთხვევაში შემუშავდება წინადადებები მათი სრულყოფისთვის. გენერალური გეგმის შემუშავების პარალელურად ასევე განხორციელდება ცალკეული ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმების მომზადება, რომლებიც შემდგომ წარედგინება საზოგადოებასა და დაინტერესებულ ინვესტორებს.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ტენდერის ან კონკურსის გამოცხადება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული გეგმარებითი დავალების შესაბამისად და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მომზადების მომსახურების შესყიდვა;
- ✓ გამარჯვებული კომპანიის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება;
- ✓ ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმების მომზადება;
- ✓ გეგმის შემუშავების პროცესის კოორდინაცია და შესრულებული სამუშაოების მონიტორინგის განხორციელება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1	ტენდერის ან კონკურსის	ნაკლები გამოცდილება	4	5	20	ტექნიკური დავალების	3	5	15

	გამოცხადება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული გეგმარებითი დავალების შესაბამისად და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მომზადების მომსახურების შესყიდვა	აღნიშნული საქმიანობის განხორციელების მიმართულებით				მომზადების პროცესში შესაბამისი დარგის სპეციალისტებისა და ექსპერტების ჩართულობის უზრუნველყოფა			
2	გამარჯვებული კომპანიის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება;	დაბალი ხარისხის დოკუმენტის მომზადება	4	5	20	გეგმის მომზადების პროცესის ინტენსიური მონიტორინგის განხორციელება	3	5	15
3	ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმების მომზადება;		0	0	0		0	0	0
4	გეგმის შემუშავების პროცესის კოორდინაცია და შესრულებული სამუშაოების მონიტორინგის განხორციელება.		0	0	0		0	0	0

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- რეგიონალური ხელისუფლება;
- ცენტრალური ხელისუფლება;

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ცენტრალური ხელისუფლება;
- რეგიონული ხელისუფლება;
- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- საკონსულტაციო ორგანიზაციები;
- არასამთავრობო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები;

- საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.
- დარგის ექსპერტები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მერრიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური პროგრამა განხორციელდება პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2018-2021	ტენდერის ან კონკურსის გამოცხადება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული გეგმარებითი დავალების შესაბამისად და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მომზადების მომსახურების შესყიდვა											x	
2018-2019	გამარჯვებული კომპანიის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2018-2019	ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმების მომზადება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2018-2021	გეგმის შემუშავების პროცესის კოორდინაცია და შესრულებული სამუშაოების მონიტორინგის განხორციელება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

5.1.2 ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების დამტკიცება

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონის დადგენის მიზანია მასში დაცული ძეგლების ისტორიულად ჩამოყალიბებული სივრცით-არქიტექტურული გარემოს, განაშენიანების ტრადიციული ფორმებისა და იერსახის შენარჩუნება, ქალაქის ისტორიული ნაწილის, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ორგანიზმის (დაგეგმარების სტრუქტურა, მორფოლოგია, შენობების მასშტაბი, ხასიათი, სილუეტი, იერსახე, ლანდშაფტი და სხვა), დაცვისა და შენარჩუნების უზრუნველყოფა, სარეაბილიტაციო, სამშენებლო და სხვა სამუშაოთა რეგულირება, საქალაქო გარემოს გაჯანსაღება, დეგრადირებული ურბანული ქსოვილის ისტორიულ სახესთან მაქსიმალურად მიახლოება, ისტორიული განაშენიანების ეკონომიკური და კულტურული პოტენციალის რეალიზაცია.

განაშენიანების რეგულირების ზონის დადგენის მიზანია ისტორიულად ჩამოყალიბებული და ახალი განაშენიანების ჰარმონიულად შერწყმის უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“-ს მიერ 2017 წელს მომზადებული ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილების დამტკიცების ინიცირებას.

შედეგად უზრუნველყოფილი იქნება ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის, მასში არსებული ძეგლების, მათი ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნებრივი და ხელოვნური გარემოს შენარჩუნება, ასევე კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონებისა და მათ ფარგლებში სამშენებლო და სხვა საქმიანობის მარეგულირებელი რეჟიმები.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების დამტკიცების თაობაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადება და წარდგენა დასამტკიცებლად.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა

1	ü ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების დამტკიცების თაობაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადება და წარდგენა დასამტკიცებლად.	დროში გაწელილი პროცედურები	3	4	12	საქმიანობის კოორდინაცია და დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო კომუნიკაცია	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- რეგიონული ხელისუფლება;
- ცენტრალური ხელისუფლება;
- საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ცენტრალური ხელისუფლება;
- რეგიონული ხელისუფლება;
- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- საკონსულტაციო ორგანიზაციები;
- არასამთავრობო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები;
- დარგის ექსპერტები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.
პროგრამა განხორციელდება უშუალოოდ განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2018	ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების დამტკიცების თაობაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის				x								

	მომზადება და წარდგენა დასამტკიცებლად.												

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული დადგენილება ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების დამტკიცების შესახებ

5.1.3 ძველი ბათუმის ისტორული განაშენიანების რეგულირების ზონაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და რეაბილიტაცია

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის, მასში არსებული ძეგლების, მათი ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნებრივი და ხელოვნური გარემოს შენარჩუნება; კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონებისა და მათ ფარგლებში სამშენებლო და სხვა სახის საქმიანობის რეგულირება. პროგრამა ასევე ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვასა და განხორციელებას რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებით პირობიანი საინვესტიციო წინადადებების შემუშავებისა და ინვესტორებისათვის მათი შეთავაზების გზით.

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში ისტორიული განაშენიანების სპეციალური ზონის მაცხოვრებლებისათვის მოხდება ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის შეთავაზება. ამგვარად მუნიციპალიტეტი იწყებს ბათუმში, მითითებულ ზონაში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების , ასევე მათი მიმდებარე ფონური ნაგებობების (საწყის ეტაპზე ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალში) ეტაპობრივ, მუნიციპალურ საკუთრებაში გამოსყიდვას.
შემდგომ ეტაპზე მოხდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ჩართულობით ამ შენობების რეაბილიტაციის პროექტების შემუშავება და ინვესტორებისათვის პირობიანი საინვესტიციო წინადადებების შეთავაზება. პირობიან საინვესტიციო წინადადებაში ქ. ბათუმის მერია გაითვალისწინებს სარეაბილიტაციო პროექტის განხორციელების სანაცვლოდ კონკრეტული შენობის მრავალწლიან ოპერირებაში ან საკუთრებაში გადაცემას.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ძველი ბათუმის ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მცხოვრებთათვის ალტერნატიული ფართის შეთავაზება;
- ✓ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების , ასევე მათი მიმდებარე ფონური ნაგებობების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გამოსყიდვის პროცედურების ორგანიზება და განხორციელება;
- ✓ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის პროექტების შემუშავება;
- ✓ საინვესტიციო წინადადებების მომზადება და შეთავაზება ინვესტორებისათვის.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა

1	ძველი ბათუმის ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მცხოვრებთათვის ალტერნატიული ფართის შეთავაზება;	წინააღმდეგობა კერძო მესაკუთრეების მხრიდან. სამართლებრივი საკითხები	4,5	5	23	მესაკუთრეებისათვის შეაძლებლობების ფარგლებშ მაქსიმალურად დამაკმაყოფილებელი და სამართლიანი პირობების შეთავაზება	3,5	5	18
2	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების , ასევე მათი მიმდებარე ფონური ნაგებობების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გამოსყიდვის პროცედურების ორგანიზება და განხორციელება;	სამართლებრივი საკითხები და მუნიციპალიტეტის კომპეტენციის შემზღუდველი ჩარჩოები	4	5	20	შესაბამის საკანონმდებლო უწყებებთან კომუნიკაცია და რეკომენდაციების მიღება	3	5	15
3	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის პროექტების შემუშავება;	ფიზიკური იერსახისა და განადგურების შემცველი საფრთხეები	4	5	20	შესაბამისი კომპეტენტური ექსპერტიზების დასკვნებზე დაყრდნობა პროექტის შედგენისას	3	5	15
4	საინვესტიციო წინადადებების მომზადება და შეთავაზება ინვესტორებისათვის .	დაინტერესებული მხარეების ნაკლები ინტერესი რაც შესაძლოა განპრიობებული იყოს ძეგლის გამოყენებასთან დაკავშირებული სპეციალური პირობებით	4	5	20	საინვესტიციო პაკეტების მომზადება და მასტიმულირებელი პირობების გათვალისწინება	3	5	15

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ქალაქ ბათუმის მოსახლეობა
- ტურისტები
- ინვესტორები

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- რეგიონული ხელისუფლეა;
- ცენტრალური ხელისუფლება;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონებისა და სერვისების მართვის სამსახური;
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქმშენებლობისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური
ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2018-2021	ძველი ბათუმის ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მცხოვრებთათვის ალტერნატიული ფართის შეთავაზება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2018-2021	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების , ასევე მათი მიმდებარე ფონური ნაგებობების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გამოსყიდვის პროცედურების ორგანიზება და განხორციელება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2018-2021	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის პროექტების შემუშავება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2018-2021	საინვესტიციო წინადადებების მომზადება და შეთავაზება ინვესტორებისათვის.	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაოდენობა;
- საინვესტიციო წინადადებების საფუძველზე რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაოდენობა;
- ალტერნატიული საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებული ოჯახების რაოდენობა
- მოსახლეობისათვის საკომპენსაციოდ შეთავაზებული საცხოვრებელი ფართების რაოდენობრივი მაჩვენებლები, სარემონტო სამუშაოებისათვის გაცემული თანხების ოდენობა.

5.1.4 კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის გეგმაზომიერი განვითარება. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა-რეაბილიტაცია და ქალაქის ისტორიული იერსახის დაცვის ხელშეწყობა. ფიზიკური განადგურების საფრთხის მატარებელი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაოდენობის მინიმუმამდე შემცირება.

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან მჭიდრო კოორდინაციით, კულტურული მემკიდრეობის ძეგლების ინვენტარიზაციის შედეგებისა და დასკვნების შესაბამისად, ქ. ბათუმის მერია უზრუნველყოფს სარეაბილიტაციო ძეგლის შერჩევას და სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელებას. ასევე სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობას. გარდა ამისა, ქ. ბათუმის მერია ითანამშრომლებს საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში და უზრუნველყოფს ერთობლივი პროექტების ინიცირებასა და განხორციელებას.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან კოორდინირებულად, სარეაბილიტაციო ძეგლისა და შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოების განსაზღვრა;
- ✓ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება:
- ✓ სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა;
- ✓ თანამშრომლობა საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში. ერთობლივი პროექტების ინიცირება და განხორციელება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან კოორდინირებულად, სარეაბილიტაციო ძეგლისა და შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოების განსაზღვრა	სარეაბილიტაციო სამუშაოების შეფასება აქტუალობისა და საჭიროების მიხედვით	4	5	20	ექსპერტიზის დასკვნებზე დაყრდნობა	3	4	12

2	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება	რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის დროს ძეგლების დაზიანების ალბათობა.	4	5	20	სარეაბილიტაციო სამუშაოების მონიტორინგის განხორციელება	3	5	15
3	სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა;	სუსტი ტექნიკური ზედამხედველობა	3	5	15	სარეაბილიტაციო სამუშაოების მონიტორინგის გაძლიერება	2	4	8
4	თანამშრომლობა საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში. ერთობლივი პროექტების ინიცირება და განხორციელება.	ნაკლები ინტერესი დონორი ორგანიზაციების მხრიდან	3	5	15	კომუნიკაციის გაძლიერება დაინტერესებულ მხარეებს შორის. თანამონაწილეობის შეთავაზება	2	5	10

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული და კულტურული ძეგლები;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ მსხვილი საპროექტო-სამშენებლო კომპანიები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციები;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.
- ❖ საგანმანათლებლო დაწესებულებები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2018-2021	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან კოორდინირებულად,	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

	სარეაბილიტაციო ძეგლისა და შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოების განსაზღვრა												
2018-2021	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2018-2021	სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2018-2021	თანამშრომლობა საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში. ერთობლივი პროექტების ინიცირება და განხორციელება.	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაოდენობა

6. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

6.1 ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა და უსაფრთხო გარემოს შექმნა მოქალაქეებისათვის

6.1.1 დაავადებათა პრევენცია

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებისადმი მზადყოფნის და დროული რეაგირების გზით.

პროგრამის აღწერა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები ეფუძნება იმ ცარიელი ნიშის შევსებას, რომელიც რჩება სახელმწიფო/რეგიონული დონის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მიღმა. პროგრამების მიზანია, სათანადო ხარისხის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სერვისების მიწოდების გზით უზრუნველყოს ქალაქ ბათუმის მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლება.

დაავადებათა პრევენციის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაავადებებით გამოწვეული ავადობის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის და სიკვდილიანობის შემცირების მიმართულებით შემუშავებული ღონისძიებები, კერძოდ პრევენციული ხასიათის სქრინინგ პროგრამები, რომლებიც შექმნის შესაძლებლობას ადრეულ ეტაპზევე იქნას გამოვლენილი კონკრეტული დაავადებები და მინიმუმამდე შემცირდეს შესაძლებლობების შეზღუდვის რისკები. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებს შეეძლებათ ისარგებლონ ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკით, ახალშობილებში აუდიოლოგიური პათოლოგიისა და ზოგიერთი გენეტიკური დაავადების (კერძოდ, მუკოვისციდოზის) ადრეული აღმოჩენის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებებით.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკა;
- ✓ ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა სქრინინგი მუკოვისციდოზზე;
- ✓ ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა სმენის სქრინინგული გამოკვლევა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების	რისკის აღწერა	რისკის წონა	რისკის	რისკის წონა

	დასახელება		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა	დაძლევის ღონისძიებები	მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1	ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკა	ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკის ღონისძიებებში მოსახლეობის დაბალი ჩართულობა	3	4	12	მოსახლეობის ცნობადობის ამაღლება, ინფორმირება საპრომოუშენო ღონისძიებების განხორციელების საშუალებით	2	3	6
2	ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა სქრინინგი მუკოვისციდოზზე	ახალშობილთა ზუსტი რაოდენობის დადგენა	2	2	4	მონაცემთა ბაზების დროული დაზუსტება	1	1	1
3	ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა სმენის სქრინინგული გამოკვლევა.				0				0

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ქ. ბათუმის მოსახლეობა

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ქ. ბათუმის მოსახლეობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- შესაბამისი პროფილის სამედიცინო დაწესებულებები;
- რეგიონული ხელისუფლება;
- ცენტრალური ხელისუფლება.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.	2 კვარტ.	3 კვარტ.	4 კვარტ.

2018-2021	ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2018-2021	ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა სქრინინგი მუკოვისციდოზზე	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2018-2021	ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა სმენის სქრინინგული გამოკვლევა.	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკის ღონისძიებებით;
- ❖ ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებსაც ჩაუტარდათ მუკოვისციდოზისა და სმენის სქრინინგული გამოკვლევები.

6.1.2 გადამდები დაავადების - C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამის ხელმისაწვდომობის ზრდა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია C ჰეპატიტის დიაგნოსტიკა, მკურნალობის კონტროლი და გართულებების პრევენცია, ასევე აღნიშნულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისთვის.

პროგრამის აღწერა

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის #169 დადგენილებით ამოქმედდა "C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე" სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც C ჰეპატიტით დაავადებულ პირებს უტარდებათ მედიკამენტოზური მკურნალობა და დიაგნოსტირება თანადაფინანსებით. პროგრამის ხელშეწყობისა და ჩართულობის გაზრდის მიზნით ქ. ბათუმის მერიამ შეიმუშავა C ჰეპატიტის დიაგნოსტირების და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსების ღონისძიეები, რის მიხედვითაც სოციალურად დაუცველს სრულად დაუფინანსდება მომსახურეობა, ხოლო სხვა კატეგორიის მოსახლეობას დაუფინანსდება დამატებით სრული ღირებულების 42 %.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება ბენეფიციართათვის.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება ბენეფიციართათვის.	მოსახლეობის დაბალი ჩართულობა	3	3	9	მოსახლეობის ცნობადობის ამაღლება, ინფორმირება დაავადებისა და მისი შესაძლო შედეგების შესახებ, კომუნიკაცია სხვადასხვა უწყებებთან	2	2	4

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქ. ბათუმის მოსახლეობა

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ქ. ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;

- შესაბამისი პროფილის სამედიცინო დაწესებულებები;
- რეგიონული ხელისუფლება;
- ცენტრალური ხელისუფლება.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურეობა განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით. ვაუჩერის გაცემის, გამოყენების წესს და ქვეპროგრამის ღონისძიებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს განსაზღვრავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2018-2021	დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება ბენეფიციართათვის.	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა.

6.1.3. მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის ზრდა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ქრონიკული დაავადებების მქონე პირთათვის და მოწყვლადი სოციალური ჯგუფებისათვის მედიკამენტებსა და საკვებ დანამატებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და გრძელვადიან პერიოდში ქრონიკურლი დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის რისკის შემცირება.

პროგრამის აღწერა

არაგადამდები დაავადებების გამომწვევი რისკ ფაქტორები მრავალია: არაჯანსაღი კვება, დაბალი ფიზიკური აქტივობა, ბიოლოგიური რისკ ფაქტორები - სხეულის მასის ინდექსი, სისხლში გლუკოზისა და ქოლესტერინის კონცენტრაცია, გარემო ფაქტორები - სტრესი, ხმაური, ჰაერის დაბინძურება. ქრონიკული დაავადებების გავრცელების თვალსაზრისით მოსახლეობის მაღალი რისკ ჯგუფები საშუალო და დაბალი შემოსავლების მქონე ადამიანებია, რომლებიც უფრო მეტად მოწყვლადი არიან ზემოთაღნიშნული ფაქტორების მიმართ. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტთათვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ღონისძიებები, ასევე მოწყვლადი სოციალური ჯგუფებისათვის მედიკამენტებსა და საკვებ დანამატებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ღონისძიებები.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა სამკურნალო-საწამლო საშუალებებით უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობის ზრდა;
- ✓ მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით უზრუნველყოფა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1	ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა სამკურნალო-საწამლო	ბენეფიციართა მონაცემთა არასრული ბაზა	2	2	4	მონაცემთა ბაზის დაზუსტება	1	2	2

	საშუალებებით უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობის ზრდა								
2	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით უზრუნველყოფა.	მედიკამენტებზე მოთხოვნილების პერმანენტული ზრდა	2	2	4	შეხვედრა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლებთან, რათა შემცირებული იქნას მედიკამენტების არამიზნობრივი დანიშვნა	1	2	2

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ქ. ბათუმის მოსახლეობა

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ქ. ბათუმის მოსახლეობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- შესაბამისი პროფილის სამედიცინო დაწესებულებები;
- რეგიონული ხელისუფლება;
- ცენტრალური ხელისუფლება.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

პროგრამა განხორციელდება შესაბამისი მუნიციპალური ქვეპროგრამით დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2018-2021	ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა სამკურნალო-საწამლო	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

	საშუალებებით უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობის ზრდა												
	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით უზრუნველყოფა.												

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით უზრუნველყოფის ღონისძიებების მოსარგებლეთა რაოდენობა.

6.1.4 სტაციონარულ და ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა იმ სტაციონარულ და ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებაზე, რომლებიც არ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამებით. ასევე უზრუნველყოს მოწყვლადი კატეგორიებისათვის აღნიშნული მომსახურებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა.

პროგრამის აღწერა

საქართველოს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მთელი რიგი სამედიცინო პროგრამებით. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ნაწილს, დაბალი შემოსავლების გამო, არ აქვს საშუალება დაფაროს იმ სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლებიც სრულად არ იფარება სხვადასხვა სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით. ამ მიზნით ქ. ბათუმის მერია განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც თანადაფინანსების პრინციპით დააფინანსებს გეგმიურ ოპერაციებს, ხელს შეუწყობს სტაციონარულ და ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებაზე მოქალაქეთა ხელმისაწვდომობის გაზრდას. პროგრამა აქცენტს გააკეთებს აღნიშნული პროგრამის ღონისძიებების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე მოწყვლადი სოციალური ჯგუფებისათვის.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა თანადაფინანსება;
- ✓ ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება;
- ✓ რეგისტრირებულ ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ✓ მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ✓ ბავშვებისათვის მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და ამოვარდნილობის ამბულატორიული მკურნალობის კურსის დაფინანსება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოხდების ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდების ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1	ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე	ბენეფიციართა დაბალი ჩართულობა	2	2	4	მოსახლეობის ცნობადობის ამაღლება,	2	2	4

	პირთა თანადაფინანსება	ძვირადღირებული სერვისის გამო				ინფორმირება . ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა			
2	ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება	ზუსტი სტატისტიკის არარსებობა სახელმწიფო დონეზე	2	2	4	შიდა სტატისტიკის გათვალისწინება დაგეგმვისას	1	2	2
3	რეგისტრირებულ ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა	ზუსტი სტატისტიკის არარსებობა სახელმწიფო დონეზე	2	2	4	შიდა სტატისტიკის გათვალისწინება დაგეგმვისას	1	2	2
4	მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა;	ზუსტი სტატისტიკის არარსებობა სახელმწიფო დონეზე	2	2	4	შიდა სტატისტიკის გათვალისწინება დაგეგმვისას	1	2	2
5	ბავშვებისათვის მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და ამოვარდნილობის ამბულატორიული მკურნალობის კურსის დაფინანსება.	ზუსტი სტატისტიკის არარსებობა სახელმწიფო დონეზე	2	2	4	შიდა სტატისტიკის გათვალისწინება დაგეგმვისას	1	2	2

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ქ. ბათუმის მოსახლეობა

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ქ. ბათუმის მოსახლეობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- შესაბამისი პროფილის სამედიცინო დაწესებულებები;
- რეგიონული ხელისუფლება;
- ცენტრალური ხელისუფლება.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2018-2021	ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა თანადაფინანსება				X	X	X	X	X	X	X	X	X
2018-2021	ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2018-2021	რეგისტრირებულ ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2018-2021	მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა;	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2018-2021	ბავშვებისათვის მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და ამოვარდნილობის ამბულატორიული მკურნალობის კურსის დაფინანსება.	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ღვიძლის ტრანსპლანტაციის თანადაფინანსების ღონისძიების მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა;
- გეგმიური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსების მომსახურებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა;
- იმ ბენეფიციართა რაოდენობა რომელთაც გაეწიათ მატერიალური დახმარება ჰემოდიალიზის და ლეიკემიის მიმართულებით;
- ბენეფიციართა რაოდენობა, რომელთაც გაეწიათ სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება;
- ბენეფიციართა რაოდენობა, რომელთაც დაუფინანსდათ მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და ამოვარდნილობის ამბულატორიული მკურნალობა.

6.1.5 სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდება საჭიროების მქონე პირებისათვის

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია აუდიოლოგიური, ფსიქიკური, მძიმე ფსიქიური აშლილობის მქონე და სხვა პათოლოგიების მქონე პირთათვის სარეაბილიტაციო სერვისების მიწოდება.

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს ბენეფიციარებისათვის სხვადასხვა სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდების დაფინანსებას, კერძოდ სმენის დარღვევის მქონე, განვითარების შეფერხებების მქონე, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციას. ასევე უზრუნველყოფს შშმ სტატუსის მქონე ბავშვთა და ვეტერანთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარებას. ბათუმში მცხოვრებ ფსიქიური პრობლემების მქონე პირთათვის სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარებას, მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის ხარისხიანი და მაღალკვალიფიციური ბინაზე მომსახურების უზრუნველყოფა მობილური გუნდის მეშვეობით.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ბათუმში რეგისტრირებული სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია;
- ✓ ბათუმში რეგისტრირებული განვითარების დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია;
- ✓ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია;
- ✓ შშმ სტატუსის მქონე ბავშვთა და ვეტერანტა საკურორტო სამკურნალო რეაბილიტაციის ღონისძიებები.
- ✓ ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია
- ✓ თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1	ბათუმში რეგისტრირებული სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	ზუსტი სტატისტიკის არარსებობა	2	2	4	შიდა სტატისტიკის გათვალისწინება დაგეგმვისას	1	2	2
2	ბათუმში რეგისტრირებული განვითარების დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	ზუსტი სტატისტიკის არარსებობა	2	2	4	შიდა სტატისტიკის გათვალისწინება დაგეგმვისას	1	2	2

3	აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	ზუსტი სტატისტიკის არარსებობა. სარეაბილიტაციო ცენტრების ნაკლებობა.სპეციალისტების ნაკლებობა	2	2	4	შიდა სტატისტიკის გათვალისწინება დაგეგმვისას. სარეაბილიტაციო ცენტრების მხარდაჭერა. დეფიციტური სპეციალობების გადამზადებასა და თრენინგებში	1	2	2
4	შშმ სტატუსის მქონე ბავშვთა და ვეტერანტა საკურორტო სამკურნალო რეაბილიტაციის ღონისძიებები.	ინფორმირებულობისა და ჩართულობის ნაკლებობა	3	3	9	ინფორმირებულობის ამაღლება სხვადასხვა საპრომოუშენო ღონისძიებებით და მასმედიის საშუალებებით	2	2	4
5	ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია	შეზღუდული წვდომა სტატისტიკურ ინფორმაციაზე	2	2	4	შიდა სტატისტიკის გათვალისწინება დაგეგმვისას.	1	2	2
6	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება	შეზღუდული წვდომა სტატისტიკურ ინფორმაციაზე	2	2	4	შიდა სტატისტიკის გათვალისწინება დაგეგმვისას.	1	2	2

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ქ. ბათუმის მოსახლეობა

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ქ. ბათუმის მოსახლეობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- შესაბამისი პროფილის სამედიცინო დაწესებულებები;
- რეგიონული ხელისუფლება;
- ცენტრალური ხელისუფლება.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2018-2021	ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2018-2021	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება					X	X	X	X	X	X	X	X
2018-2021	ბათუმში რეგისტრირებული სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2018-2021	ბათუმში რეგისტრირებული განვითარების დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2018-2021	აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2018-2021	შშმ სტატუსის მქონე ბავშვთა და ვეტერანტა საკურორტო სამკურნალო რეაბილიტაციის ღონისძიებები.						X	X	X	X	X	X	X

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა.

6.1.6 ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ქალაქის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, გადამდები დაავადებების პრევენია.

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და ასევე ქ. ბათუმის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებების სანიტარულ-ჰიგიენური მონიტორინგის განხორციელება, მაწანწალა ცხოველების (ძაღლების, კატების) პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების განხორციელება, მავნე მწერებისა და მღრღნელების მაქსიმალური შემცირებისა და მოსახლეობის ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, იტალიური ეზოებისა და სარდაფების დეზინსექცია და ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით დამუშავება.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგის განხორციელება;
- ✓ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, იტალიური ეზოებისა და სარდაფების დეზინსექცია- დერატიზცია ;
- ✓ მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების განხორციელება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოხდების ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდების ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1	ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგის განხორციელება	ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებების არასრული ნუსხა	3	3	9	მონაცემთა ბაზის დაზუსტება	2	3	6
2	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების,	ბათუმის ტერიტორიაზე არსებული	2	2	4	მონაცემთა ბაზის დაზუსტება	1	1	1

	იტალიური ეზოებისა და სარდაფების დერატიზაცია-დეზინსექცია	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, იტალიური ეზოებისა და სარდაფების არასრული ბაზა							
3	მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების განხორციელება.	მაწანწალა ცხოველების პოპულაციის პერმანენტული ცვლილება	2	3	6	მონაცემთა ბაზის დაზუსტებისათვის შიდა სტატისტიკური მასალის გამოყენება	1	2	2

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ქ. ბათუმის მოსახლეობა;
- ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მდებარე საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ქ. ბათუმის მოსახლეობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობა.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2018-2021	ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგის განხორციელება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2018-2021	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, იტალიური ეზოებისა და სარდაფების დერატიზაცია-დეზინსექცია	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

2018-2021	მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების განხორციელება.	x	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებების რაოდენობა სადაც განხორციელდა სანიტარული მონიტორინგი;
- მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების კლების პროცენტული მაჩვენებელი
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, იტალიური ეზოებისა და სარდაფების რაოდენობა, სადაც განხორციელდა დერატიზაცია-დეზინსექციის ღონისძიებები;
- მაწანწალა ცხოველების რაოდენობა, რომელთაც ჩაუტარდათ მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები.

6.1.7 სამედიცინო დაწესებულებების განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია მოქალაქეთათვის გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ხარისხიანი სერვისის მიწოდების უზრუნველყოფა

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმის მერია გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების კვალიფიციური და ხარისხიანი სერვისის მიწოდების უზრუნველსაყოფად განახორციელებს ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, ახალი ავტომანქანებით აღჭურვას, ცენტრში დასაქმებული სამედიცინო

პერსონალის მხარდაჭერას. ზაფხულის სეზონზე გაზრდლი მოთხოვნის შესაბამისად, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დამატებითი მომსახურების მხარდაჭერას.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- ✓ ცენტრში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის მხარდაჭერა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1	ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება	დროული სამედიცინო დახმარების გაწევა ,,ოქროს შუალედის''დაცვით	2	3	6	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პერმანენტული განახლება, გზების მოწესრიგება	2	3	6
2	ცენტრში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის მხარდაჭერა.	მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების გაწევა	2	3	6	ექიმთა პერიოდული გადამზადება, ტრეინინგების ჩატარება	1	2	2

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქ. ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ქ. ბათუმის ვიზიტორები

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ქ. ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ შესაბამისი პროფილის სამედიცინო დაწესებულებები;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური
შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი.“

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2018-2021	ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება				X	X	X	X	X	X	X	X	X
2018-2021	ცენტრში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის მხარდაჭერა.	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ზაფხულის სეზონზე სასწრაფო დახმარების დამატებითი ბრიგადების რაოდენობა;
- ზამთრის სეზონზე სასწრაფო დახმარების დამატებითი ბრიგადების რაოდენობა;
- მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსებული სასწრაფო სამედიცინო ცენტრის ექიმების ხელფასის საშუალო ყოველთვიური დანამატი;
- სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ შეძენილი ავტომობილების რაოდენობა

6.2 სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა

6.2.1 მოწყვლადი ჯგუფების ხელმისაწვდომობის ზრდა ძირითად კომუნალურ სერვისებსა და საქალაქო ტრანსპორტით გადაადგილებაზე

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია შექმნას მინიმალური საარსებო პირობები მოწყვლადი ჯგუფებისათვის მათთვის ძირითადი კომუნალური სერვისების მიწოდებისა და კომუნალური ხარჯების დაფარვის გზით.

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში მოწყვლადი სოციალური ჯგუფებისათვის, როგორიცაა: შშმ პირები, მათ შორის შშმ სტატუსის მქონე ბავშვები, ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები, სოციალურად დაუცველი პირები, მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა დედები და მათი შვილები ისარგებლებენ სერვისით, რომლის ფარგლებშიც მოხდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მათთვის ძირითადი კომუნალური ხარჯების დაფარვა. კერძოდ: წყლისა და კანალიზაციის გადასახადის, დასუფთავების მოსაკრებლის, სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის. მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 50%-ით სუბსიდირება შემდეგი სოციალური კატეგორიისათვის: მასწავლებლები, სტუდენტები, იძულებით გადაადგილებული პირები, ასაკით პენსიონერები, საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლები; მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირება შემდეგი მოწყვლადი კატეგორიისათვის: ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირები, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარები, შშმ პირები, შშმ სტატუსის ბავშვები. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოწყვლადი სოციალური კატეგორიისათვის ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე.

განსახორციელებელი ღონისძიებები

მოწყვადი სოციალური ჯგუფებისათვის:

- ✓ წყლისა და კანალიზაციის გადასახადის დაფარვა;
- ✓ დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადასახადის დაფარვა;
- ✓ სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დაფარვა;
- ✓ გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე;
- ✓ ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების თხევადი აირის ტალონით დახმარება;
- ✓ მასწავლებლების, სტუდენტების, იძულებით გადაადგილებული პირების, ასაკით პენსიონერების, საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლების, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 50%-ით სუბსიდირება;
- ✓ ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარების, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარების, შშმ პირების, შშმ სტატუსის ბავშვების, მოსწავლეების მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირება;
- ✓ ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1	მოწყვლადი კატეგორიისათვის წყლისა და კანალიზაციის გადასახადის დაფარვა	ბენეფიციართა მონაცემთა ბაზების დაგვიანებით მოწოდება შესაბამისი უწყებებიდან.	3	4	12	კოორდინირებული მუშაობა ყველა დაკავშირებულ მხარესა და უწყებასთან შესაბამისი ბაზების დროულად მოწოდებასთან დაკავშირებით.	2	3	6
2	დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადასახადის დაფარვა	ბენეფიციართა მონაცემთა ბაზების დაგვიანებით მოწოდება შესაბამისი უწყებებიდან.	3	4	12	კოორდინირებული მუშაობა ყველა დაკავშირებულ მხარესა და უწყებასთან შესაბამისი ბაზების დროულად მოწოდებასთან დაკავშირებით.	2	3	6
3	სატელეფონო-საბონენტო გადასახადის დაფარვა	ბენეფიციართა მონაცემთა ბაზების დაგვიანებით მოწოდება შესაბამისი უწყებებიდან.	3	4	12	კოორდინირებული მუშაობა ყველა დაკავშირებულ მხარესა და უწყებასთან შესაბამისი ბაზების დროულად მოწოდებასთან დაკავშირებით.	2	3	6
4	გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე	ბენეფიციართა მონაცემთა ბაზების დაგვიანებით მოწოდება შესაბამისი უწყებებიდან.	3	4	12	კოორდინირებული მუშაობა ყველა დაკავშირებულ მხარესა და უწყებასთან შესაბამისი ბაზების დროულად მოწოდებასთან დაკავშირებით.		3	0
5	ვეტერანების, მათთან გათანაბრებული	ბენეფიციართა მონაცემთა	3	4	12	კოორდინირებული მუშაობა ყველა		3	0

	პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულები ს თხევადი აირის ტალონით დახმარება	ბაზების დაგვიანებით მოწოდება შესაბამისი უწყებებიდან.				დაკავშირებულ მხარესა და უწყებასთან შესაბამისი ბაზების დროულად მოწოდებასთან დაკავშირებით.			
6	მასწავლებლების, სტუდენტების, იძულებით გადაადგილებული პირების, ასაკით პენსიონერების, საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლების, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 50%-ით სუბსიდირება	ბენეფიციართ ა მონაცემთა ბაზების დაგვიანებით მოწოდება შესაბამისი უწყებებიდან.	3	4	12	კოორდინირებულ ი მუშაობა ყველა დაკავშირებულ მხარესა და უწყებასთან შესაბამისი ბაზების დროულად მოწოდებასთან დაკავშირებით.		3	0
7	ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარების, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარების, შშმ პირების,შშმ სტატუსის ბავშვების, მოსწავლეების მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირება.	ბენეფიციართ ა მონაცემთა ბაზების დაგვიანებით მოწოდება შესაბამისი უწყებებიდან.	3	4	12	კოორდინირებულ ი მუშაობა ყველა დაკავშირებულ მხარესა და უწყებასთან შესაბამისი ბაზების დროულად მოწოდებასთან დაკავშირებით.		3	0

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- შშმ პირები, მათ შორის შშმ სტატუსის მქონე ბავშვები;

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- სოციალური პროფილის სამთავრობო უწყებები და ორგანიზაციები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები.

- ❖ ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები;
- ❖ სოციალურად დაუცველი პირები;
- ❖ მრავალშვილიანი ოჯახები,
- ❖ მარტოხელა დედები;
- ❖ ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, ბიბლიოთეკების თანამშრომლები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

პროგრამა უშუალოდ განხორციელდება განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების მიერ.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2018-2021	მოწყვლადი კატეგორიისათვის წყლისა და კანალიზაციის გადასახადის დაფარვა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2018-2021	დასუფთავებისათვის მოსაკრებლის დაფარვა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2018-2021	სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დაფარვა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2018-2021	გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2018-2021	ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების თხევადი აირის ტალონით დახმარება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

2018-2021	მასწავლებლების, სტუდენტების, იძულებით გადაადგილებული პირების, ასაკით პენსიონერების, საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლების, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 50%-ით სუბსიდირება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2018-2021	ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარების, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარების, შშმ პირების,შშმ სტატუსის ბავშვების, მოსწავლეების მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირება.	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ პროგრამის ღონისძიებებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა;
- ❖ კომუნალური სერვისების სუბსიდირებაზე მიმართული თანხების მოცულობა.

6.2.2 მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარება

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია მოწყვლადი კატეგორიის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობა ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის გზით.

პროგრამის აღწერა

